

სამყაროს შემეცნება

5

სახელმძღვანელო



Azərbaycan Respublikasının Dövlət Himni

Musiqisi Üzeyir Hacıbəylinin,
sözləri Əhməd Cavadındır.

Azərbaycan! Azərbaycan!
Ey qəhrəman övladın şanlı Vətəni!
Səndən ötrü can verməyə cümlə hazırız!
Səndən ötrü qan tökməyə cümlə qadiriz!
Üçrəngli bayrağınla məsud yaşa!
Minlərlə can qurban oldu!
Sinən hərbə meydan oldu!
Hüququndan keçən əsgər,
Hərə bir qəhrəman oldu!

Sən olasan gülüstan,
Sənə hər an can qurban!
Sənə min bir məhəbbət
Sinəmdə tutmuş məkan!

Namusunu hifz etməyə,
Bayrağını yüksəltməyə
Cümlə gənclər müştaqdır!
Şanlı Vətən! Şanlı Vətən!
Azərbaycan! Azərbaycan!

ნუშაბა მამედოვა
ქონულ მაჰმუდოვა
აინურ ბაღმანლი

სამყაროს შემეცნება

5

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მე-5 კლასისათვის "სამყაროს შემეცნება"-ს საგნის სახელმძღვანელო

დამტკიცებულია აზერბაიჯანის რესპუბლიკის განათლების სამინისტროს მიერ 24.05.2016 წელს, ბრძანება №354

ŞƏRQ-QƏRB
BAKI 2017

ნუშაბა მამედოვა, ქონულ მაჰმუდოვა, აინურ ბაღმანლი

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მე-5 კლასისათვის “სამყაროს შემეცნება”-ს საგნის სახელმძღვანელო

ŞƏRQ – QƏRB **ბაქო** 2017.

სამეცნიერო რედაქტორი: მეჯნუნ ბაბაევი
რეცენზენტები: თარანა ისმაილოვა
ქამანდარ ჰასანოვი
ქემალა ასკეროვა
ბრილიანთ ჰასანოვა
ქიფაიათ ალიევა
ქართული გამოცემის ორგანიზატორი როლანდ ჯალადანია
ტექნიკური რედაქტორი მიხეილ ჩოდრიშვილი
თარგმანი ზარიფა გაჯიევასი

პირობითი ნიშნები

იმსჯელეთ

კითხვები და დავალებები

გთხოვთ სახელმძღვანელოსთან დაკავშირებით თქვენი მოსაზრებები, შენიშვნები და წინადადებები გამოგზავნოთ **info@eastwest.az** და **derslik@edu.gov.az** ელექტრონულ მისამართებზე

წინასწარ გიხდით მადლობას თანამშრომლობისთვის!

საავტორო უფლებები დაცულია. სპეციალური ნებართვის გარეშე ამ გამოცემის, ანდა მისი რომელიმე ნაწილის გადაბეჭდვა, ასლის გადაღება, ელექტრონული საინფორმაციო საშუალებებით გავრცელება კანონით აკრძალულია

© აზერბაიჯანის განათლების სამინისტრო 2017

ჰეიდარ ალიევი

აზერბაიჯანელი ხალხის საერთო ეროვნული ლიდერი

საზოგადოება – ეს ჩვენ ვართ

1 საზოგადოება – ეს ჩვენ ვართ

თქვენ უკვე დაამთავრეთ განათლების დაწყებითი საფეხური და სწავლას აგრძელებთ მეხუთე კლასში. თქვენი მასწავლებლების და სასწავლო ოთახების რაოდენობამ მოიმატა. თქვენი ცხოვრების ყველაზე სანუკვარი დროის ნაწილს ამ მასწავლებლებთან, კლასელებთან ერთად გაატარებთ მშობლიურ სკოლაში, სადაც მიიღებთ პასუხს იმ კითხვებზე, რომლებიც თქვენ გაინტერესებთ. გაიცნობთ სხვადასხვა ადამიანებს და დაამყარებთ მათთან ურთიერთობებს. რატომ არის მნიშვნელოვანი კომუნიკაცია?

იმსჯელეთ

კომუნიკაცია არის ადამიანებს შორის ურთიერთობების დამყარება, ერთმანეთის აღქმისა და გაგების პროცესი. თქვენი აზრით, კომუნიკაციის გარეშე ცხოვრება შეიძლება? რატომ? კომუნიკაციის არმქონე ადამიანთა ჯგუფის წარმოდგენა შეუძლებელია, რადგან არ შეიძლება, რომ საზოგადოებაში იცხოვრო და არავისთან არ გქონდეს ურთიერთობა.

მაგრამ კომუნიკაცია არც ისე ადვილი პროცესია. საზოგადოებაში არსებობენ ისეთი ადამიანები, რომლებიც ირგვლივ მყოფებთან ძნელად ახერხებენ წარმატებული კომუნიკაციის დამყარებას. ადამიანებს შორის კომუნიკაციის დამყარების გარკვეული ფაქტორები არსებობს: მისალმება, თბილად საუბარი, ღიმილიანი სახე, დაინტერესება მოსაუბრის მდგომარეობით, სტუმარ-მასპინძლობა, ადამიანებისადმი ყურადღების გამოჩენა და კარგი მოპყრობა, წესიერება, გულუხვობა და ასე შემდეგ. ეს ეხმარება ადამიანებს კომუნიკაციაში. ყველა ჩამოთვლილ ფაქტორს დიდი მნიშვნელობა ენიჭება კომუნიკაციის კულტურის ფორმირებაში. ადამიანთა კომუნიკაციის საფუძველს ქმნის მეტყველება. მეტყველების უნარი მხოლოდ ადამიანს გააჩნია.

ის ადამიანის ყოფაქცევის, ცოდნის, მსოფლმხედველობისა და კულტურის დონის გამომხატველი სარკეა. თქვენთან მოსაუბრე ადამიანს ყურადღებით მოუსმინეთ, სიტყვა არ გააწყვეტინოთ, ხმამაღლა ნუ ისაუბრებთ, რომ მოსაუბრე დარწმუნდეს თქვენს კეთილგანწყობაში. ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი ურთიერთობის მქონე ადამიანებს შორის მისალმება კომუნიკაციის ერთ-ერთი ძირითადი ელემენტია. მისალმება ადამიანთა შორის ურთიერთობას განამტკიცებს, მათ შორის სიყვარულის, მეგობრობის, ძმობის გრძნობებს აძლიერებს.

ბოლო დროს გაისმის მოსაზრებები, რომ ინტერნეტი ძირფესვიანად შეცვლის კომუნიკაციას ადამიანებს შორის. თქვენ იცით, რომ კომპიუტერი ადამიანებს ეხმარება განათლების მიღებაში, უზრუნველყოფს მის შედეგიან საქმიანობას, რადგან ადამიანები მათთვის საჭირო ინფორმაციას მოიპოვებენ და შეისწავლიან ინტერნეტის მეშვეობით და ამ გზით მეგობარსაც კი ირჩევენ. მაგრამ კომპიუტერის ხშირად ხმარებამ შეიძლება ადამიანი მასზე დამოკიდებული გახადოს. ეს კი ადამიანთა შორის ცოცხალ ურთიერთობებს ამცირებს. ვერაფერი შეცვლის ცოცხალ ურთიერთობას და ვერ შეუქმნის მათ ურთიერთობით მიღებულ შთაბეჭდილებას. არ დაგავიწყდეთ, რომ ურთიერთკავშირი ადამიანის სულიერი მოთხოვნილებაა.

1. სურათების მიხედვით დაადგინეთ კომუნიკაციის საშუალებები.





2. სანიმუშო კომუნიკაციის წესების შესახებ დაწერეთ ესსე.
3. ზოგი ადამიანი სწორი კომუნკაციის დამყარებას ვერ ახერხებს. დაადგინეთ ამის მიზეზი. მოამზადეთ რჩევები ასეთი ადამიანების წინაშე არსებული პრობლემების აღმოფხვრისათვის.

2 ოჯახი არის მცირერიცხოვანი საზოგადოება

საზოგადოება – ეს ჩვენ ვართ

ოჯახი ადამიანის განსაკუთრებულად მრავალფეროვან ურთიერთობათა სამყაროა
ჰეიდარ ალიევი

ადამიანი მუდამ სჩადის სხვადასხვა მოქმედებებს. იგი ჭამს, სვამს, ლაპარაკობს, კითხულობს, ფიქრობს, ვიდაცასთან მეგობრობს. ზოგჯერ ვიდაცას დახმარება ესაჭიროება, ან თავად უნდა გაუმართოს ხელი, დაეხმაროს ვინმეს. ადამიანი ერთ ოჯახს, ერთ ერს, ერთ სახელმწიფოს ეკუთვნის და გარემოცულია თავისი მშობლებით, ნათესავებით, ახლობლებით, მეზობლებით, მეგობრებით, თანამემამულეებით...
რა ეწოდება ადამიანთა ასეთ ერთობლიობას?

ადამიანები ერთად საზოგადოებას ქმნიან. ზოგჯერ ერთმანეთთან კომუნიკაციაში მყოფ ადამიანთა პატარა ჯგუფს საზოგადოებას უწოდებენ. ადამიანი გონიერი არსებაა, რაც მას ცხოველისაგან განასხვავებს. ადამიანის გონება ყალიბდება მაშინ, როცა იგი სხვა ადამიანებთან ერთად ცხოვრობს. მაგრამ საზოგადოების შექმნის მთავარი პირობა არ გახლავთ მხოლოდ ადამიანების თავმოყრა. ათასობით ადამიანს შეუძლია ერთად თავის მოყრა, მაგრამ თუ მათ შორის არ არსებობს კომუნიკაცია, საერთო მიზანი, მაშინ ასეთ ადამიანთა ჯგუფის ერთობლიობას საზოგადოებას ვერ ვუწოდებთ. პირად მოთხოვნილებათა უზრუნველყოფის მიზნით საზოგადოებაში გაერთიანებული ადამიანები ერთმანეთთან მჭიდრო კავშირში და ერთმანეთზე დამოკიდებულები არიან.

საზოგადოება ოჯახის დიდი ფორმაა. ამიტომაც, როგორც ოჯახში, თითოეულ ადამიანს საზოგადოების, და მისი თითოეული ინდივიდის წინაშე თავისი მოვალეობები გააჩნია. ამ მოვალეობების შესრულებისათვის თითოეულ ადამიანს თავისი პასუხისმგებლობა აკისრია. სიტყვა ოჯახს ერთ ჯგუფად ჩამოყალიბებული სამეცნიერო, ტექნიკური და სოციალური წრეებიც გამოიყენებენ. აბა, როგორც გვესმის სიტყვა ოჯახის მნიშვნელობა?



ოჯახის მეურნეობის გაძღოლა იმდენად მძიმეა, რომ მას ორი, სამი და მეტი ადამიანის ძალისხმევა სჭირდება

ამ სურათზე რომელი სიტყვებით შეიძლება შევცვალოთ კითხვის ნიშნები?

ოჯახი საზოგადოების პატარა საძირკველია, ამასთან ერთად, ერთმანეთის სიყვარული ამ საძირკველის დუღაბს წარმოადგენს. მშობლები, რომლებიც მუდამ თავს გვევლებიან, ბებიები და ბაბუები, რომლებიც მუდამ სიყვარულით გვეპყრობიან, ნათესავები, რომლებიც მუდამ ჩვენთან ერთად იზიარებენ მწუხარებასა და სიხარულს ოჯახის განუყრელი ნაწილები არიან. რასაკვირველია, ყველა ოჯახი არ არის დიდი, მაგრამ მთავარი ჩვენი ოჯახის არსებობით გამოწვეული ბედნიერების შეგრძნებაა.

წარმოიდგინეთ, რომ ოჯახში თქვენ მარტო საკუთარ სურვილებს ასრულებთ. დედ-მამის, ბებია-ბაბუის და და-ძმის სურვილებს არ ითვალისწინებთ. ოჯახის დანარჩენი წევრებიც ასე იქცევიან. როგორი მდგომარეობა შეიქმნება ოჯახში ასეთ შემთხვევაში? ასე ცხოვრება შეიძლება?

მეგობრებთან იმსჯელეთ ამის თაობაზე.

თავისთავად ცხადია, რომ ასეთ ოჯახში ცხოვრება შეუძლებელია. საზოგადოებაშიც ასეა – ადამიანებს, ყველას ერთად თბილ, ძმურ, მეგობრულ გარემოში საცხოვრებლად ესაჭიროებათ კანონები და წესები, რომელთა ცხოვრებაში გატარებაც ადამიანებს სულიერად ამდიდრებს.

1. რა საერთო მიზნები და ინტერესები აქვთ ადამიანებს საზოგადოებაში? მოიფიქრეთ და რვეულში ჩაწერეთ.

2. რას ნიშნავს თქვენთვის ოჯახი? შეეკითხეთ ოც ადამიანს და შედეგები აღნიშნეთ პროცენტებით.

ოჯახი ჩვენთვის არის ყველაზე მთავარი, ყველაზე ძვირფასი ადგილი, ცხოვრების მიზანი		%
ოჯახი ნათესაური ურთიერთობების მქონე ადამიანთა ჯგუფია.		%
ოჯახი ნიშნავს ბედნიერ ცხოვრებას		%
ოჯახი მისი წევრების ურთიერთპატივისცემასა და პასუხისმგებლობას ნიშნავს		%
ოჯახი ყველაზე ძვირფასი, საყვარელი და სანდო ადამიანების ჯგუფია.		%
ოჯახი არის დედა, მამა, და, ძმა და სახლი		%
ოჯახი სიყვარულით სავსე სახლია		%
ოჯახი პატარა სახელმწიფოა		%

3. თქვენი კლასი პატარა საზოგადოებაა. განსაზღვრეთ, თუ რომელი წესების მიხედვით უნდა იმოქმედოთ ამ საზოგადოებაში და აღნიშნეთ რვეულში.

4. მოამზადეთ პრეზენტაცია თქვენი ოჯახის ადათ-წესების შესახებ.

5. შეადგინეთ ტექსტი ურთიერთობის შესახებ მოცემული სიტყვების გამოყენებით:

სიყვარული, ყურადღება, ურთიერთპატივისცემა, სახლი, ერთმანეთის გაგება, რთული მომენტები, მეგობარი, უფროსებისა და მოხუცების მიმართ მზრუნველობა, მწუხარება, ოჯახის წევრები, სითბო, სიმშვიდე, დახმარება

3 მეც ამ ჯგუფში ვარ

საზოგადოების ბედნიერება
პიროვნების ბედნიერებაზე
უფრო მნიშვნელოვანია
პლატონი

საზოგადოება – ეს ჩვენ ვართ

ალბათ არდადეგების დროს მოგენატრათ თანაკლასელები, მასწავლებლები, სკოლის ამხანაგები, მეგობრები. უკვე სასწავლო წელი დაიწყო და თქვენი მოვალეობებისადმი მოთხოვნებმა იმატა. ამის შემდეგ ამხანაგებთან ერთად უნდა იმეცადინოთ, უნდა მოახდინოთ სხვადასხვა ღონისძიებათა ორგანიზება, სასკოლო ღონისძიებებში პასუხისმგებლობით უნდა მიიღოთ მონაწილეობა. შეგიძლიათ მონაწილეობა ასეთ ღონისძიებებში?

ჩათვალეთ, რომ კლასელებთან ერთად უნდა მოამზადოთ კედლის გაზეთი თემაზე – "გავუფრთხილდეთ ბუნებას". რა უნდა გააკეთოთ ამისთვის? წინასწარ დაგეგმეთ ჯგუფის წევრების მიერ შესასრულებელი დავალებები.

ამგვარად, თქვენ შექმენით თანაკლასელებისაგან შემდგარი ჯგუფი. არ დაგავიწყდეთ, რომ გასაკეთებელი საქმეები სამართლიანად უნდა გადაანაწილოთ მოსწავლეებს შორის. ჯგუფში მყოფმა თითოეულმა მოსწავლემ უნდა იცოდეს, თუ რაზეა პასუხისმგებელი და ზუსტად უნდა შეასრულოს თავისი მოვალეობა.

ასეთ ჯგუფებს, *პატარა სოციალურ ჯგუფებს* ეძახიან. პატარა სოციალურ ჯგუფებს ქმნით არა მხოლოდ კედლის გაზეთი გაკეთებისას, არამედ სპორტის გაკვეთილებზე, ექსკურსიაზე წასვლის დროს და ეზოში თამაშის დროსაც კი. ოჯახიც პატარა სოციალურ ჯგუფად ითვლება.

ფეხბურთის საბავშვო გუნდი "ნეფთჩი"

ვინც საზოგადოების ბედნიერებისათვის იღვწის, ის თავადაც ბედნიერი იქნება
ს.მაილსი

სოციალურ ჯგუფებს შორის მრავალი განსხვავებაა. ძირითადი სხვაობა მათ მოთხოვნილებებსა და ინტერესებშია. სოციალური ჯგუფები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან ადამიანთა რაოდენობითაც. სოციალურ ერთობლიობაში პირველი ეთნიკური ჯგუფი არის მოდგმა. იგი იქმნება ოჯახებისაგან და ეფუძნება სისხლით ნათესაობას. ორი ან მეტი შთამომავალი ქმნის ტომს. ამაზე დიდი სოციალური ჯგუფი არის ერი. ერს როცა ვამბობთ, არ ვგულისხმობთ სისხლით ნათესავებს. ერის მთავარი ნიშანთვისებებია მეზობლობა, ერთ ტერიტორიაზე ცხოვრება, ენისა და კულტურის ერთობა.

ყაზახები

ერის წარმოქმნის პროცესი იწყება მაშინ, როცა ღრმავდება და ძლიერდება ეკონომიკური ურთიერთობები. თანამედროვე ეპოქაში ერების უმეტესობას თავისი დამოუკიდებელი სახელმწიფო აქვს შექმნილი. ისინი წარმოადგენენ დიდ სოციალურ ერთობლიობას. ყველაზე დიდი სოციალური ერთობლიობა არის ხალხი და კლასები. აზერბაიჯანში და სხვა მრავალ სახელმწიფოში მოქალაქეები სიტყვის თავისუფლებისათვის ქმნიან დიდ სოციალურ ერთობლიობას. ასეთ ერთობლიობას საზოგადო გაერთიანებას ვეძახით. ამგვარი ერთობლიობები სახელმწიფოს კანონებისა და წესების მიხედვით ფუნქციონირებენ.



1. თუ ფეხბურთის გუნდის შექმნა გინდათ, რომელი თვისებების მიხედვით აირჩევდით ამ გუნდის წევრებს?

2. შეხედეთ სურათს და რვეულში ჩაწერეთ, რომელ ჯგუფში არიან გაერთიანებული ეს ადამიანები?

3. დრამის წრის შექმნა გვინდა. ლელა არჩეულია ჯგუფის ხელმძღვანელად, სადაც უნდა გაწევრიანდეთ თქვენც. რომელი საქმის გაკეთებას შეძლებთ? მოსაზრება ჩაწერეთ რვეულში.

ჯგუფი	წევრი

4. შეავსეთ ცხრილი: რომელი ჯგუფის წევრი ხართ? რას წარმოადგენს თქვენი როლი ამ ჯგუფებში?
5. რას წარმოადგენს თქვენი ყველაზე მნიშვნელოვანი როლი სკოლაში? რატომ თვლით მნიშვნელოვნად?

4 ერები

საზოგადოება – ეს ჩვენ ვართ

მსოფლიოს ხალხები, რომლებიც 100 მილიონს აღემატებიან, არიან: ჩინელები, ინდოელები, ამერიკის შეერთებულ შტატები მცხოვრები ამერიკელები, ბენგალელები, რუსები, მექსიკელები, ბრაზილიელები, იაპონელები

მსოფლიოს ყველა ადამიანს ერთნაირი წარმოშობა აქვს, მაგრამ ადამიანები სხვადასხვა ჯგუფებს წარმოადგენენ. ასეთ ჯგუფებს კი ერებს უწოდებენ. თითოეულ ერს თავისი კულტურა, ენა, რელიგია, ადათ-წესები, ცხოვრების სტილი, ეროვნული სამოსი, ფოლკლორი, ეროვნული სამზარეულო აქვს. რა შეგიძლიათ თქვათ ჩვენი ერის თვისებებზე?

მოცემულ სურათზე წარმოდგენილი ერების სამოსის, ცხოვრების სტილის, ადათ-წესების და ხელოვნების შესახებ იმსჯელეთ ამხანაგებთან ერთად.

ინდოელები და ჩინელები

მსოფლიოში არსებობენ უძველესი, რაოდენობის მიხედვით დიდი ხალხები: ინდოელები, ჩინელები, არაბები, თურქები და ასე შემდეგ. ამ ერებს აქვთ თავიანთი ისტორია, კულტურა და ადათ-წესები. ჩინელები და ინდოელები აზიის სამხრეთ-აღმოსავლეთში, თურქები კი ცენტრალურ აზიაში და ალთაის მთების მიდამოებში ცხოვრობდნენ. შემდეგ თურქების საცხოვრებელი არეალი უფრო გაფართოვდა. თითოეულ ამ ერს თავისი რელიგია, ადათ-წესები ჰქონდა. მათ მრავალი სიახლე შესძინეს მსოფლიო კულტურას. ჩინელებმა გამოიგონეს ქაღალდი, კომპასი, დენთი, ინდოელებმა კი ჭადრაკი და ციფრი 0 (ნული). ჩინელებს კონფუცის მოძღვრება, ინდოელებს ბუდიზმი, თურქებს ციური სხეულები და შამანიზმი სწამდათ.

თქვენ იცით, რომ აზერბაიჯანი მდებარეობს გეოგრაფიულად ხელსაყრელ გარემოში. თავისი ულამაზესი ბუნების გამო, უძველესი დროიდან იქცა ეს ადგილი ადამიანთა საცხოვრისად. ისტორიული წყაროების მიხედვით აზერბაიჯანის ეთნიკური შემადგენლობა მუდამ ფართოვდებოდა. ეს კი იმას მოწმობს, რომ აზერბაიჯანი უხსოვარი დროიდან გამოირჩეოდა ტოლერანტობით. მის ტერიტორიაზე, აზერბაიჯანელ თურქებთან ერთად, სხვა ეროვნული უმცირესობებიც ცხოვრობენ. დიდია ეროვნულ უმცირესობათა რაოდენობა. ესენი არიან ებრაელები, თათები (ირანული ტომი), თალიშები, ქურთები, ინგილოები, ავარელები, ლეკები, ლეზგები, ხინალიგელები და ა.შ. მიუხედავად იმისა, რომ აზერბაიჯანში ცხოვრობენ, მათ შენარჩუნებული აქვთ საკუთარი კულტურის ელემენტები, რომელიც აშკარად ვლინდება მათ ყოველდღიურ ყოფაში, ხელოვნებაში, სამზარეულოში, სხვადასხვა წეს-ჩვეულებებში.

აზერბაიჯანის კუბის რაიონის ტერიტორიაზე მდებარე სოფელი ხინალიგი მსოფლიოს მაღალმთიან დასახლებებს შორის ერთ-ერთ პირველ ადგილს იკავებს. ხინალიგელები აზერბაიჯანის უძველეს მოსახლეებად ითვლებიან. სხვა ეროვნულ უმცირესობათა შორის ისინი გამოირჩევიან განსაკუთრებული თვისებებით. ეს ეთნოსი საუბრობს საკუთარ ქათიშურ ენაზე, რომელსაც ანალოგი არ გააჩნია მთელ მსოფლიოში.



1. მოიპოვეთ და ცხრილში განათავსეთ ინფორმაციები აზერბაიჯანში მცხოვრები ეროვნული უმცირესობების შესახებ.

რიგითი№	ერი	საცხოვრებელი ტერიტორია	ენა	რელიგია	ეროვნული სამოსი

2. თქვენს რეგიონში მცხოვრებ ეროვნულ უმცირესობათა სამზარეულოს განსხვავებული კერძები ჩაწერეთ.
3. მოიპოვეთ ინფორმაცია სლავების (1) და მექსიკელების (2) შესახებ.

5 სახელმწიფო და სახელმწიფოებრიობა

სახელმწიფოს მთავარი საფუძველი კარგი კანონები და ძლიერი ჯარია
მაკიაველი

საზოგადოება, რომელშიც გაერთიანებულია სხვადასხვა ჯგუფები, სახელმწიფოს ხელისუფლებას ექვემდებარება. დედამიწაზე ორასზე მეტი სახელმწიფოა. სახელმწიფო ადამიანთა თანაცხოვრების ფორმაა, სადაც ისინი კანონებს და ხელისუფლებას უნდა ემორჩილებოდნენ. სახელმწიფო თავისი ორგანოების მეშვეობით მართავს საზოგადოებას, იცავს მას და აკმაყოფილებს მის საზოგადო და პოლიტიკურ მოთხოვნებს.
რომელ სახელმწიფო ორგანოებს იცნობთ და რა ფუნქცია აკისრია თითოეულ მათგანს?

სახელმწიფო ზედამხედველობას ახორციელებს საზოგადოების ცხოვრებაზე. საჭიროების შემთხვევაში ქმნის ახალ სახელმწიფო ორგანოებს და იღებს ახალ კანონებს.

თქვენი აზრით, როგორ იქმნებოდა სახელმწიფოები? დაასაბუთეთ თქვენი მოსაზრებები.

სახელმწიფოს შექმნის თაობაზე არსებობს სხვადასხვა მოსაზრება. ზოგი მეცნიერი თვლის, რომ სახელმწიფო ოჯახის გაფართოების შედეგად შეიქმნა. როგორც მამა ზრუნავს ოჯახის თითოეულ წევრზე, ისე უნდა იზრუნოს სახელმწიფომ თავის თითოეულ მოსახლეზე.

აზერბაიჯანის რესპუბლიკის კონსტიტუციური სასამართლოს შენობა

26 ივნისი აზერბაიჯანის რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების დღეა

სახელმწიფოს ნიშნები შემდეგია:
გააჩნია საკუთარი ტერიტორია; აქვს საკუთარი კანონები; ჰყავს ჯარი; აქვს საკუთარი სიმბოლოები (ჰიმნი, გერბი, დროშა); შეიძლება გამოუშვას ფული და ა.შ.

სახელმწიფო ემსახურება საკუთარი ხალხის სასიცოცხლო ინტერესებს. იგი არის პოლიტიკური წყობა, რომელიც მართავს კონკრეტული საზღვრების ფარგლებში მცხოვრებ ხალხს. მსოფლიოში არსებობს უდავო ჭეშმარიტება – ხალხები, რომელთაც არ გააჩნიათ სახელმწიფო, ადრე თუ გვიან სხვა ხალხებში განიბნევიან. ამიტომაც, ქვეყნის მოქალაქეებმა მტკიცედ უნდა დაიცვან თავიანთი სახელმწიფოებრიობა.

სახელმწიფოს გააჩნია საკუთარი მოვალეობებიც. როგორც სხვა სახელმწიფოებში, ასევე აზერბაიჯანშიც, სახელმწიფო არის საზოგადოების მთავარი მმართველი და მაორგანიზებელი ძალა. იგი გარკვეულ მნიშვნელოვან მოვალეობებს ასრულებს:

- ბავშვებისათვის ქმნის პირობებს საიმისოდ, რომ მიიღონ უფასო განათლება;
- უზრუნველყოფს გარემოს მოფრთხილებასთან დაკავშირებული კანონების დაცვას;
- ჩვენი სახელმწიფო სხვა სახელმწიფოებთან ამყარებს პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ ურთიერთობებს და ყოველმხრივ თანამშრომლობს მათთან;
- იცავს ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებას;
- მუდმივად ახორციელებს ღონისძიებებს მოსახლეობის ცხოვრების დონის ასამაღლებლად;
- ზრუნავს სახელმწიფო საზღვრების დასაცავად და ა.შ.

სახელმწიფოს მოვალეობები ერთმანეთთან მჭიდრო კავშირში იმყოფებიან, რადგან ერთ მათგანზე ზემოქმედება გავლენას ახდენს სხვებზე.



1. სახელმწიფოს, ქვემოთ მოცემული, თითოეული თვისება განმარტეთ:

* სახელმწიფოს გააჩნია იარაღი და შეიარაღებული სტრუქტურები (ჯარი, პოლიცია, უშიშროების სამსახური და ა.შ.);
* სახელმწიფოს კანონმდებლები და მოსამართლეები ჰყავს;
* სახელმწიფო ქვეყნის შიგნით, არცერთ ხელისუფლებაზე არ არის დამოკიდებული.

2. ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულთა სახელმწიფო კომიტეტი 90-იანი წლების დასაწყისში შეიქმნა. რა არის ამ ორგანი-ზაციის სახ ელმწიფოს მხრიდან შექმნის მიზანი? დაასაბუთეთ თქვენი მოსაზრებები.

3. გადახაზეთ ცხრილი რვეულში და შეავსეთ.

სახელმწიფოს მოვალეობანი	**სახელმწიფო ორგანო, რომელიც ახორციელებს ამ მოვალეობებს**	**რა მნიშვნელობა აქვს საზოგადოებისთვის**
ბავშვებისთვის განათლების მიღების პირობების შექმნა		
გარემოს დაცვა		
ჩვენი სახელმწიფოს თანამშრომლობა სხვა სახელმწიფოებთან		
ადამიანების უფლებებისა და თავისუფლების დაცვა		
მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლება		
სახელმწიფოს საზღვრების დაცვა		

6 ჩემი სახელმწიფო მე მემსახურება

ვინც თავს არიდებს საკუთარი სამშობლოს დაცვას, მას არა აქვს ამ მიწაზე ცხოვრების უფლება
ჰეიდარ ალიევი

ჩვენ ყველანი აზერბაიჯანის სახელმწიფოს მოქალაქეები ვართ. აზერბაიჯანი, უპირველეს ყოვლისა, ჩვენი დედაა. იგი დედასავით გვზრდის, გვიცავს და სრულყოფილ ადამიანად გვაყალიბებს. დღეს აზერბაიჯანს მოპოვებული აქვს დამოუკიდებლობა და მსოფლიოში ერთ-ერთ გამორჩეულ და ანგარიშგასაწევ სახელმწიფოს წარმოადგენს. აზერბაიჯანელი ხალხის ეროვნული ლიდერი ჰეიდარ ალიევი დამოუკიდებელი აზერბაიჯანის მართვის დროს მუდამ სამშობლოს გაძლიერებისათვის ზრუნავდა, მის მთავარ მიზანს წარმოადგენდა აზერბაიჯანის ჩაყენება მსოფლიოს მოწინავე სახელმწიფოთა რიგებში. ამჟამად, ამ პოლიტიკას წარმატებით აგრძელებს აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტი ბატონი ილჰამ ალიევი. დამოუკიდებელი აზერბაიჯანი გახლავთ ჩვენი ეროვნული ლიდერის თავდაუზოგავი შრომის შედეგი.

თქვენი აზრით, რა არის დამოუკიდებელი აზერბაიჯანის ჩვენი საერთო ეროვნული ლიდერის თავდაუზოგავი შრომის დიდებულ შედეგად მოხსენიების საფუძველი?

აზერბაიჯანის რესპუბლიკის სახელმწიფო კანონმდებლობის შემუშავებასა და კანონების გამოცემას უზრუნველყოფს მილი მეჯლისი. დეპუტატები მილი მეჯლისში კენჭისყრით იღებენ კანონებს. აზერბაიჯანის რესპუბლიკის კონსტიტუცია სახელმწიფოს მთავარი კანონია. კანონები აწესრიგებენ სოციალურ და საზოგადოებრივ ცხოვრებას, მოქალაქეებსა და სახელმწიფოს შორის ურთიერთობებს.

განჯაში მდებარე იძულებით გადაადგილებულ პირთა დასახლება

კანონებს პატივი უნდა ვცეთ, იმიტომ, რომ იგი ჩვენს უფლებებს იცავს.

აზერბაიჯანელი ერის თანამედროვე ისტორიაში ყარაბაღის ომი შევიდა როგორც მოვლენა, რომელმაც ჩვენს თანამოქალაქეებს დააკარგვინა მამა-პაპური საცხოვრისები, ქონება. ყარაბაღიდან დევნილები იმყოფებოდნენ ფიზიკური და მორალური ზეწოლის ქვეშ. სახელმწიფოს მიერ გატარებული პოლიტიკის შედეგად იძულებით გადაადგილებული პირები უზრუნველყოფილი არიან საცხოვრებელი სახლებით, მათი შვილები კი უფასო განათლებას იღებენ უმაღლეს სასწავლებლებში და სხვა.

მტრის ხელში მოქცეული ჩვენი მიწების განთავისუფლებისთვის სახელმწიფო სხვადასხვა ქმედით ღონისძიებებს ახორციელებს.

მუბარიზ იბრაჰიმოვი

სალათინ ასკეროვა

ჩინგიზ მუსტაფაევი

ჩვენს რესპუბლიკაში კანონების უზენაესობა მკაცრად არის დაცული. თვითნებობა ყოვლად დაუშვებელია. სამართლებრივ სახელმწიფოში პიროვნება კი არ იღვწის სახელმწიფოსათვის, სახელმწიფო ფუნქციონირებს პიროვნებისათვის. სახელმწიფო ემსახურება საზოგადოების თითეული წევრის თავისუფლებისა და უფლებების დაცვის საქმეს. მილი მეჯლისის მიერ მიღებულ კანონებს განუხრელად ასრულებენ ხელისუფლების აღმასრულებელი შტოები.

კანონის დამცველი ორგანოებიდან ერთ-ერთია სასამართლო. ეს ორგანოები არასოდეს არღვევენ თავიანთ უფლებამოსილებებს და ემსახურებიან საკუთარ მოქალაქეებს. თითოეულ ჩვენგანს გარკვეული მოვალეობა აკისრია საზოგადოების წინაშე. ჩვენი ვალია, გვიყვარდეს ჩვენი ოჯახი, ხალხი, სახელმწიფო, პატივი უნდა ვცეთ ყველა ადამიანს, უნდა ვიყოთ მზრუნველი, კეთილსინდისიერი, სანდო, ერთგული, ვაუკაცური სულის მქონე.

გაარკვიეთ, რა არის ჩვენი მორალური ვალი სამშობლოს წინაშე.

სამშობლო წმინდაა, სამშობლო საყვარელია, სამშობლოს მიწა ხელშეუხებელია, სამშობლო უნდა გვიყვარდეს არა მხოლოდ სიტყვით, არამედ საქმითაც, დღენიადაგ უნდა ვფიქრობდეთ მის კეთილდღეობაზე.

აზერბაიჯანს ჰყავდა გმირი შვილები – ბაბეკი, ქოროღლი, მეჰდი, ჰაზი. მათ ყველაზე სანუკვარი – საკუთარი სიცოცხლე შესწირეს სამშობლოს თავისუფლების საქმეს, მის კეთილდღეობას.

თქვენც აზერბაიჯანის შვილები ხართ, ამ მიწაზე იზრდებით და სამშობლოს წინაშე იხდით ვალს გარემოს დაცვით, განათლების მიღებით, ადათ-წესების პატივისცემით. მაგრამ, მომავალში არ შეიძლება რომ მხოლოდ ამით დაკმაყოფილდეთ. მშობლიური მიწის წარსული, მისი დღევანდელობა და ხვალინდელი დღე კარგად უნდა შევისწავლოთ. მტკიცედ უნდა დავიცვათ საერთო-სახალხო ქონება და გავამრავლოთ იგი, ღირსეული პატივი უნდა მივაგოთ ადათ-წესებს და გადავცეთ იგი მომავალ თაობას. ამით თქვენ საკუთარ ვალს აღასრულებთ ერისა და ქვეყნის წინაშე.

პატრიოტობა ოჯახიდან იწყება, სკოლაში ყალიბდება და ცხოვრებაში რეალური ხდება. ეს არასოდეს არ დაგავიწყდეთ!

1. შეაგროვეთ ინფორმაცია ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთათვის სახელმწიფოს მიერ გაწეულ დახმარებაზე.
2. შეადგინეთ ცხრილი კანონების დამცველი სახელმწიფო ორგანოების და მათი მოვალეობის შესახებ.
3. დაწერეთ ესე – ჩემი სახელმწიფო მე მიცავს.
4. ჩვენი საერთო ეროვნული ლიდერის პოლიტიკის გამგრძელებელის, სახელმწიფოს მეთაურის ილჰამ ალიევის მიერ გაკეთებული მამულიშვილური საქმეების შესახებ მოამზადეთ პრეზენტაცია.

7 ჩვენი უფლებები დაცულია

მასწავლებელს ნამიკასთვის მიცემული აქვს დაბეჭდილი სია.

ამ სიაში ჩამოთვლილთაგან ნამიკამ უნდა გადაანაწილოს ისინი შემდეგ გრაფებში: "ჩემი მოვალეობები" და "ჩემი უფლებები". თქვენი აზრით, როგორ დააჯგუფებს ნამიკა ამ სიას?

1. გამოხატვის თავისუფლება;
2. მშობლებზე ზრუნვა;
3. სამშობლოს დაცვა;
4. საკვების და სამედიცინო დახმარების მიღების საშუალება;
5. სავალდებულო სამხედრო სამსახური;
6. განათლების მიღება.

ერის ცხოვრებისათვის აუცილებელია თავისუფლება და ამ თავისუფლების შენარჩუნება
ათათურქი

რომელი ორგანოები იცავენ ადამიანის უფლებებს?

ადამიანის უფლებებისა და მოვალეობის დაცვა ძალზე მნიშვნელოვანი და აქტუალური საკითხია. სახელმწიფოს მოვალეობებიდან ერთ-ერთი მთავარი ადამიანთა თავისუფლებისა და უფლებების დაცვაა. მაგრამ ამ საკითხებში პასუხისმგებლობა ეკისრება არა მხოლოდ სახელმწიფოს, არამედ არასამთავრობო და საერთაშორისო ჰუმანიტარულ ორგანიზაციებსაც.

ადამიანის უფლებების დაცვა, უპირველესად, ეროვნული ზრუნვის საგანია და თითოეულ სახელმწიფოს უნდა გააჩნდეს მის აღსრულებაზე პასუხისმგებლობის გრძნობა. ჩვენს ქვეყანაში უფლებების დაცვა უზრუნველყოფილია საერთაშორისო საკანონმდებლო ორგანოებისა და დამოუკიდებელი სასამართლო სისტემის მიერ.

მილი მეჯლისში სხვადასხვა კომიტეტები ფუნქციონირებენ. მათგან ერთ-ერთია ადამიანის უფლებების დაცვის კომიტეტი. აზერბაიჯანის მილი მეჯლისის ადამიანის უფლებების დაცვის კომიტეტი შექმნილია მოქალაქეების უფლებების დაცვის მიზნით.

ვისაც საკუთარი აზრის თავისუფლად გამოთქმა არ შეუძლია, მას არანაირი თავისუფლება არ გააჩნია.
ვოლტერი

არასამთავრობო ორგანიზაციებში შედიან საზოგადოებრივი გაერთიანებები და სხვადასხვა ფონდები. არასამთავრობო ორგანიზაციებს გააჩნიათ საკუთარი აზრის თავისუფლად გაჟღერების საშუალება, სწრაფად მუშაობის პირობები და გადაადგილების სრული თავისუფლება. ეს ფაქტორები ეხმარება არასამთავრობოებს იმ პრობლემების მოგვარებაში, რომელსაც გარკვეული მიზეზების გამო ვერ ახერხებენ სახელმწიფო და საერთაშორისო ორგანიზაციები. აზერბაიჯანში არასამთავრობო ორგანიზაციები რესპუბლიკის კონსტიტუციის შესაბამისად უნდა მოღვაწეობდნენ. არასამთავრობო ორგანიზაციებს შეიძლება გააჩნდეთ დროშა, ემბლემა და სხვა სიმბოლოები. საზოგადოებრივი გაერთიანებები იქმნება კერძო პირების მიერ. ფონდების უმეტესობას კი დახმარებისა სხვადასხვა პროექტების დაფინანსების მიზანი გააჩნიათ. ერთ-ერთი მათგანია ფონდი "ადამიანის უფლებები XXI საუკუნის აზერბაიჯანში".

ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვაში დიდია საერთაშორისო ორგანიზაციების ზეგავლენა. ამ მიზნით 1945 წელს შეიქმნა გაერთიანებული ერების ორგანიზაცია (გაერო). ამ ორგანიზაციის წესდების შვიდი მუხლი უშუალოდ ეძღვნება ადამიანის უფლებების დაცვას. ამის საფუძველზე შეიქმნა გაეროს ადამიანის უფლებების კომისია. კომისიის მიერ შედგენილი "ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია" მიღებული იქნა მსოფლიოს ყველა სახელმწიფოს მიერ. თქვენი, მომავლის აღმშენებლების უფლებების დარღვევის აღმოსაფხვრელად მუდამ ზრუნავს მთელი მსოფლიო. ამიტომაც, 1959 წელს, გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ მიღებული იქნა "ბავშვთა უფლებების დეკლარაცია". ამ დროიდან 30 წლის შემდეგ მიღებული იქნა უფრო სრულყოფილი დოკუმენტი "ბავშვის უფლებათა კონვენცია". ეს კონვენცია მთლიანად ეძღვნება ბავშვებს, და მის მიზანს ბავშვების უფლებების მაქსიმალურად დაცვა წარმოადგენს.

ᲝᲣᲜᲘᲡᲔᲤ – ემსახურება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ბავშვთა ფონდს.

1949 წელს შეიქმნა ორგანიზაცია – ევროპის საბჭო, რომლის ძირითად მიზანს ადამიანის უფლებების დაცვა წარმოადგენს. ორგანიზაციის კონვენციის მიხედვით სახელმწიფო ვალდებულია დაიცვას ადამიანის უფლებები და თავისუფლება.

1975 წელს შეიქმნა კიდევ ერთი ორგანიზაცია, რომელიც ასევე იცავს ადამიანის უფლებებს. მას ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციას (ეუთო) უწოდებენ. ამ ორგანიზაციის აქტის მიხედვით, სახელმწიფო, რომელიც არ დაიცავს თავისი მოქალაქის უფლებებს, საერთაშორისო სივრცეში ვერ გაატარებს საკუთარ პოლიტიკას. ამიტომაც, ერთ სახელმწიფოში თუ ირღვევა ადამიანის უფლებები, სხვა სახელმწიფოები ხმას იმაღლებენ მისი მოქალაქეების დასაცავად.

აზერბაიჯანში ბავშვთა უფლებები დაცულია სახელმწიფოს მხრიდან. ამ სფეროში ჩვენი პრეზიდენტის, ბატონ ილჰამ ალიევის მეუღლის, აზერბაიჯანის პირველი ლედის, იუნესკოს და ისესკოს კეთილი ნების ელჩის ქალბატონ მეჰრიბან ალიევას მიერ ქმნილი კეთილი საქმეები ყოველთვის მოწონებულია საზოგადოების მხრიდან.



1 დაწერეთ ესე აზერბაიჯანში ბავშვთა უფლებების დაცვის შესახებ.
2. ცხრილში ჩაწერეთ ბავშვთა ულებების დამცველი ორგანიზაციის სახელწოდებები და მათი მოვალეობები.

ორგანიზაციები	მათი მოვალეობები

3. იპოვეთ სწორი მიმართულება და შეაგროვეთ ინფორმაცია მის შესახებ.



4. ქვემოთ მოცემული თემების შესახებ მოიპოვეთ ინფორმაცია და მოამზადეთ პრეზენტაცია;

* აზერბაიჯანის რესპუბლიკის ოჯახის, ქალთა და ბავშვთა პრობლემების სახელმწიფო კომიტეტი;
* ფონდი "ადამიანის უფლებები XXI საუკუნის აზერბაიჯანში".

გაიხსენე სახელმწიფოს მხრიდან შესრულებული მოვალეობები. მათ შორის რომელი შეიძლება ჩავთვალოთ ეკონომიკური ხასიათის მოვალეობად?

მიუხედავად ასაკისა და პროფესიისა, ჩვენ, ყველანი ეკონომიკური პროცესების მონაწილენი ვართ. ამის თაობაზე სრული წარმოდგენაც რომ არ გაგვაჩნდეს, ის მაინც ვიცით, რომ ადამიანისათვის სასიცოცხლოდ აუცილებელია ჭამა, სმა, ტანსაცმელი და სხვა აუცილებელ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება. ყოველივე ამის დაკმაყოფილებისათვის კი საჭიროა წარმოება. ეკონომიკის ძირითადი მოვალეობა სწორედ წარმოებაა.

მორალური კმაყოფილება შრომით, გარჯით, შეუპოვარი მოდვაწეობის შედეგად მოიპოვება.
ნასრედინ თუსი

წარმოების სრულფასოვნად ფუნქციონირებისათვის, უპირველესად, აუცილებელია სათანადო ეკონომიკური რესურსები. ჩვენთვის ბუნების მიერ ადამიანისათვის ნაბოძები ყოველი სიკეთე: სასარგებლო წიაღისეული, მიწა, წყალი, სუფთა ჰაერი, ტყეები და ა.შ. უანგარო "საჩუქარია". მთლიანობაში, ყოველივე ზემოთადნიშნულს, ბუნებრივ რესურსებს ვუწოდებთ. ეს რესურსები უაღრესად მნიშვნელოვანია წარმოებისათვის. მაგალითად, წიგნის ან რვეულის საწარმოებლად – ხეს, ფეხსაცმლის საწარმოებლად – ტყავს, ტანსაცმლის საწარმოებლად კი ბამბას იყენებენ.



უკანასკნელ წლებში შეიმჩნევა იმის ტენდენცია, რომ ზოგი წიაღისეული სიმდიდრის მარაგი შეიძლება ამოიწუროს. მოდით, ვიფიქროთ ამის თაობაზე. ამის მიზეზი რა არის?



ქსოვილის წარმოების პროცესის სქემა

წარმოებისთვის საჭიროა სხვადასხვა დაზგა, ინვენტარი, შენობები, სატრანსპორტო საშუალებები. ესენი ეკონომიკური საშუალებებია.

მაგრამ წარმოებისთვის მხოლოდ ეკონომიკური საშუალებები და რესურსები არ არის საკმარისი. ამისთვის, ასევე, საჭიროა ადამიანის შრომა. მაგიდასთან რომ პური მივიტანოთ, ამისათვის ადამიანების ჯგუფი ხორბალს თესავს, მოსავალს იმკის, წისქვილში ფქვავს,

ფქვილისგან ცომს ამზადებს და პურს აცხობს. ადამიანთა დანარჩენი ნაწილი სიცოცხლისათვის აუცილებელი სხვა ნაწარმის დამზადებით არის დაკავებული.

მაშასადამე, ასეთი დასკვნა გამოგვაქვს – რომ არ იყოს ეკონომიკური რესურსები, წარმოების საშუალებები და ადამიანის შრომა, წარმოება ვერ იმუშავებდა.

ღვთის ნაჩუქართა შორის ყველაზე ლამაზი და ძვირფასი არის მიწა. მუდამ მასზე უნდა ვიზრუნოთ, რომ ხალხის ცხოვრება გავაუმჯობესოთ
ჰასან ბეი ზერდაბი



1. აღწერეთ სურათებზე ასახული წარმოების სფეროები.



2. შეადგინეთ რესპუბლიკაში მოქმედი წარმოებების სია.

3. ჩამოთვალეთ ნავთობის წარმოების ეკონომიკური რესურსები და საშუალებები.

4. ჩამოთვალეთ პურისა და ტანსაცმლის წარმოებაში რომელი ეკონომიკური რესურსები და საშუალებებია საჭირო.

გარემო
და ჯანმრთელობა

1 ჯანმრთელი ცხოვრების წესი

ერთ დღეს აჰმედი დედამ ექიმთან წაიყვანა. ექიმი აჰმედს შეკითხვებს უსვამდა, აჰმედი კი პასუხობდა.

– შვილო, შენ ზრუნავ საკუთარ ჯანმრთელობაზე?

– დიახ.

– რას აკეთებ საამისოდ?

– ვვარჯიშობ, ხილ-ბოსტნეულს მივირთმევ, დროულად ვიძინებ და მამასთან ერთად ვსეირნობ სუფთა ჰაერზე.

– აჰმედ, შენი აზრით, ეს საკმარისია ჯანმრთელობის დაცვისათვის?

აჰმედმა არ უპასუხა, მაგრამ როცა სახლში დაბრუნდა, ამაზე ბევრს ფიქრობდა. თქვენი აზრით, ჯანმრთელობის დაცვისთვის აქ ჩამოთვლილი ღონისძიებები საკმარისია? რატომ?

რომელია ჯანმრთელობაზე ზრუნვის სხვა პირობები?

თითოეული ადამიანის ჯანმრთელობა მასზეა დამოკიდებული. თუ ყოველდღიურ რეჟიმს არ დავიცავთ, თუ სწორად არ ვიკვებებით, თუ სისტემატურად არ ვივარჯიშებთ, ჯანმრთელობას თანდათან გავიუარესებთ. მაგრამ ჯანმრთელობისთვის მხოლოდ ჩამოთვლილი ფაქტორები საკმარისი არ არის. ადამიანის კარგი გარეგნობა სრულიადაც არ ნიშნავს, რომ იგი არის ჯანმრთელი. ადამიანი მორალურადაც და ემოციურადაც უნდა იყოს ჯანმრთელი.

მოცემული მოვლენები (შემთხვევები) გააანალიზეთ ჯანმრთელობის სამი პირობის მიხედვით

ულქერი სპორტითაა დაკავებული, კარგად სწავლობს, მშობლებსა და მასწავლებლებს ეპყრობა პატივისცემით, მაგრამ როცა მასწავლებლის მიერ დასმულ შეკითხვებს პასუხობს, ძალიან ღელავს. სახლში მარტოდ ყოფნის ეშინია.

ნათიკა კარგად სწავლობს, ძალიან უყვარს მუსიკის მოსმენა და ხატვა, მაგრამ თანაკლასელებს უხეშად ექცევა.

ჯანმრთელობისათვის საჭიროა ყოველდღიური რეჟიმის დაცვა. რა არის ყოველდღიური რეჟიმი? ყოველდღიური ცხოვრების გარკვეული წესების ფარგლებში მოქცევა ყოველდღიურ რეჟიმად ითვლება. მაგრამ ყველა ასაკს თავისი რეჟიმი გააჩნია. ზოგჯერ, თქვენს სახლში მყოფი ბებიის და ბაბუის, ან სხვა უფროსების რეჟიმით ცხოვრება თქვენი ჯანმრთელობისათვის საზიანოა. მოწაფის ყოველდღიურ

რეჟიმში შედის დღის ერთიდაიგივე დროს დასვენება, ნორმალური ძილი, დილის გამამხნევებელი ვარჯიში, სუფთა ჰაერზე სეირნობა, გაკვეთილების დროულად მომზადება და ა.შ. მაგრამ ეს რეჟიმი სწორად უნდა ააწყო, რომ დრო თითოეულ მათგანს ამყოფინო.

ყოველდღიური რეჟიმის სწორად შესრულება – ჯანმრთელობა, მშვიდი ძილი, დილიდან საღამომდე კარგ ხასიათზე ყოფნა მთელი დღის სამყოფ ენერგიას ნიშნავს.

ყოველდღიური რეჟიმი ყველასთვის სავალდებულოდ დასაცავია. თუ ამას არ გავაკეთებთ, ორგანიზმი ნორმალურად ვერ განვითარდება, იმიტომ, რომ თუ ადამიანი ერთდროულად ჭამს, მუშაობს და ისვენებს, ორგანიზმს ეს დარღვევები ჩვევად ექცევა. სრულფასოვნად მეცადინეობისთვის სწორი კვება აუცილებელია. უკეთესი იქნება, თუ კვებისას უპირატესობას მივანიჭებთ ვიტამინებით სავსე ხილსა და ბოსტნეულს. ჭამის შემდეგ ძილი ცუდ გავლენას ახდენს ორგანიზმზე და დისკომფორტს უქმნის მას.

ალბათ გიყვართ სპორტული ცხოვრება, იმიტომ, რომ მუდამ სპორტით დაკავება აძლიერებს,

ამხნევებს ადამიანს და სწრაფს ხდის. როცა კუნთები მოძრაობენ, სისხლის მიმოქცევა უმჯობესდება და ორგანიზმიც ჰარმონიულად ვითარდება. ესეც ნორმაში უნდა იყოს მოყვანილი, რადგან თქვენი გული და სისხლძარღვები ჯერ კიდევ კარგად არ არის ჩამოყალიბებული და ისინი შეიძლება დაზიანდნენ, თუ ვარჯიშისას დროდადრო არ შეისვენებთ.

ადამიანს მორალური ჯანმრთელობა არის მისი ოჯახის, ხალხის, სახელმწიფოს, ადამიანებისადმი სიყვარული და პატივისცემა, მზრუნველობა, მაღალი ზნეობა, სინდისი და სანდოობა. ეს განსაზღვრავს ადამიანის მსოფლმხედველობას.

მუსიკა, ფერწერის ნიმუშები, ლიტერატურული ნაწარმოებები, კინოფილმები და ა.შ. ადამიანის ემოციურ ჯანმრთელობაზე ახდენენ ზეგავლენას. ამიტომაც, თუ თქვენს ემოციაზე რაიმე უარყოფითად ზემოქმედებს, შეეცადეთ მოშორდეთ მას.



1. ადამიანი არის მოაზროვნე, გამართულსხეულიანი და ძლიერი არსება. კიდევ რა შეიძლება იყოს მისი ჯანმრთელობისათვის დამახასიათებელი?
2. თქვენი რეჟიმი დაწერეთ და დაასაბუთეთ, რომ იგი სწორია.

სპორტის სახეობა	მნიშვნელობა
ცურვა	
სათხილამურო სპორტი	
ცხენოსნობა	
მშვილდოსნობა	
ჭიდაობა	
მხატვრული ტანვარჯიში	

3. განმარტეთ მოცემული სპორტის სახეობები
4. შეადგინეთ თემა მორალურად, ემოციურად და ფიზიკურად ჯანმრთელი ბავშვის შესახებ.

2 უსაფრთხო კომპიუტერი

აისელა მე-5 კლასში სწავლობს. მასწავლებელმა მას დაავალა პრეზენტაციის მომზადება "უსაფრთხო კომპიუტერის" შესახებ. ეს როგორ უნდა გააკეთოს? თქვენი აზრით, აისელამ პრეზენტაციაზე რას უნდა გაუსვას ხაზი?

კომპიუტერი თითქმის თითოეული ადამიანის ცხოვრების ნაწილია. კომპიუტერით მუშაობა უკვე წერა-კითხვასავით არის გამარტივებული. კომპიუტერს ფართოდ იყენებენ განათლების სფეროშიც. ალბათ, წინათ, ამ აპარატს მხოლოდ ხატვისა და თამაშისთვის იყენებდით. მაგრამ უკვე გაიზარდეთ, კომპიუტერი თქვენი ცხოვრების გარკვეულ ნაწილად იქცა. თქვენ ახლა შეგიძლიათ კომპიუტერით შედეგიანად ისარგებლოთ ელექტრონული წიგნების მოსაძებნად, უცხო ენის შესწავლისათვის, პროექტებისა და პრეზენტაციის მოსამზადებლად, სურათებზე სამუშაოდ და ა.შ.. მართალია, თამაშები და ეს ჩამოთვლილი პროცესები ძალზე საინტერესოა, მაგრამ არ დაგავიწყდეთ, რომ კომპიუტერი უარყოფით ზეგავლენასაც ახდენს ორგანიზმზე.

ზოგჯერ კომპიუტერის მოუფრთხილებლად სარგებლობამ შეიძლება ტექნოგენური კატასტროფა გამოიწვიოს. მაშ როგორ უნდა მოვიქცეთ კომპიუტერთან ისე, რომ არასასიამოვნო ფაქტის წინაშე არ აღმოვჩნდეთ? კომპიუტერის ოთახებში უსაფრთხოების რომელი წესები უნდა დავიცვათ? იმსჯელეთ კლასელებთან ერთად.

კომპიუტერთან მუშაობისას ფრთხილად იყავით.

– ხანგრძლივად კომპიუტერთან ჯდომისას ადამიანს ერღვევა ძილის რეჟიმი და ეკარგება მადა

– ხანგრძლივად კომპიუტერთან ჯდომა იწვევს ხერხემლის გამრუდებას და სისხლის მოძრაობის გაუარესების მიზეზი შეიძლება გახდეს.

– მონიტორთან ხანგრძლივად ჯდომისას სუსტდება მხედველობა.

– მოუხერხებელი სამუშაო მაგიდა დაღლილობას იწვევს.

– ხანგრძლივად კომპიუტერთან ჯდომა უარყოფით გავლენას ახდენს ნერვიულ სისტემაზე და ნერვებს ძაბავს.

ექიმებს მიაჩნიათ, რომ შეუსვენებლად, 30 წუთზე მეტი დროის განმავლობაში, კომპიუტერთან მუშაობა არ შეიძლება. ყოველ 15 წუთში ერთხელ მონიტორს თვალი უნდა მოაშოროთ და შორს გაიხედოთ. ამით თავიდან ავიცილებთ მხედველობის კორექციის დარღვევას.



1. ლალა დასვენების უმეტეს დროს კომპიუტერთან ატარებს. როგორ აუხსნით მას, რომ მისთვის ეს საზიანოა?
2. "კომპიუტერი ადამიანის ტვინს ვერ შეცვლის". მოამზადეთ ამის შესახებ პატარა თემა.
3. შეადგინეთ ცხრილი, ჩაწერეთ კომპიუტერისგან სიკეთისა და ზიანის მომტანი ფაქტორები და ერთმანეთს შეადარეთ.
4. კომპიუტერზე მუშაობისას უსაფრთხოების რომელი წესები უნდა დავიცვათ? მოამზადეთ ამის შესახებ პატარა პრეზენტაცია.

3 ჩვენს ჯანმრთელობას საფრთხე ემუქრება

ნაზრინა სოფელში ცხოვრობდა. მაგრამ ხანდახან, ოჯახთან ერთად, სტუმრად ჩადიოდა ქალაქში მცხოვრებ ბიძასთან. სოფელში ცხოვრებაც და ქალაქში ცხოვრებაც მისთვის უაღრესად საინტერესო იყო. ნაზრინა ფიქრობდა, რომ ქალაქში არავითარი საფრთხე არ დაემუქრებოდა, რადგან ქალაქში ტყე არ არის, რომ ადამიანი დაიკარგოს, გარეული ცხოველები არ დაძრწიან, რომ თავს დაესხან.

თქვენი აზრით, ნაზრინას ფიქრი მართებულია? რატომ?

მსოფლიოში მოხდარი კატასტროფების სიას რომ დავაკვირდეთ, ვნახავთ, რომ ყველაზე დიდი საფრთხე ადამიანის ქმნილებებიდან მოედინება. სამწუხაროდ, ხშირია ქიმიურ ქარხნებში აფეთქება, თვითმფრინავის კატასტროფა, მატარებლების შეჯახება და ა.შ.

გაარკვიეთ, სურათზე გამოსახულ ადამიანებს რა საფრთხე შეიძლება დაემუქროს.

ყოველდღიურ ცხოვრებაში ჩვენ, ან ჩვენი ახლობლები შეიძლება არასასიამოვნო მოვლენათა ეპიცენტრში აღმოვჩნდეთ – სატრანსპორტო შემთხვევები, ელექტროენერგიის სისტემათა ავარია, ხანძარი, აფეთქებები, გაზით მოწამვლა, ტყეში ადამიანების დაკარგვა და ა.შ. ჩვენ მიგვაჩნია, რომ სახლში საფრთხისაგან დაცული ვართ, მაგრამ ხშირ შემთხვევაში, გაუფრთხილებლობის გამო, ოჯახშიც შეიძლება სერიოზული საფრთხის წინაშე აღმოვჩნდეთ. ამიტომ, ყველაფერი უნდა ვიცოდეთ სახლში შესაძლო მოსალოდნელი საფრთხეების შესახებ და ამ საფრთხეთა თავიდან არიდების გზებზე.

სახლში ყველაზე მეტად მოსალოდნელი საფრთხეები:
ხანძარი, მოწამვლა, სიმაღლიდან ჩამოვარდნა, დენის დარტყმა, გაზის გაჟონვა, წყალდიდობა, კარის უნებლიედ ჩაკეტვა და ა.შ.

ჩვენს ყოველდღიურ ყოფაში უამრავ ელექტროაპარატურას ვიყენებთ, რომელთა სრულად ჩამოთვლა ძნელიც კია. საოჯახო "ელექტრონული პარკის" არასწორმა ექსპლოატაციამ შეიძლება არასასურველი შედეგი მოგვიტანოს არა მხოლოდ ერთ კონკრეტულ ოჯახში, არამედ მთელ კორპუსშიც კი. დენის ადამიანზე ზემოქმედება განპირობებულია დენის წყაროს სიმძლავრით ან მასთან კონტაქტის პირობით. ასეთ შემთხვევაში შეიძლება ადამიანის ჯანმრთელობას მიადგეს ისეთი სერიოზული ზიანი, როგორიცაა დამწვრობა, დაბუჟება, სუნთქვის შეჩერება და მეტიც – დადგეს სიკვდილიც კი. ოჯახის ელექტროსადენებში გამავალი დენის სიმძლავრე შეიძლება ადამიანის სიკვდილის მიზეზად იქცეს. თუ ადამიანი არაიზოლირებულ სადენს შეეხება, საფრთხის ქვეშ დგება მისი სიცოცხლე. ბინაში, სახლში, ანდა ბაღში ხანძარი შეიძლება ჩვენგან დამოუკიდებელი მიზეზითაც გაჩნდეს (მაგალითად – მეხის დაცემა). მაგრამ თუ ჩვენ გაუფრთხილებლად მოვექცევით ცეცხლს – გამოვიყენებთ დაზიანებულ ელექტროაპარატურას, ან ბევრი აპარატის ჩართვით გადავტვირთავთ ქსელს, შესაძლოა ხანძარი ჩვენი მიზეზით გაჩნდეს.



ყოველდღიურ ცხოვრებაში უძველესი პერიოდიდან "მემკვიდრეობად მიღებულ" ისეთ საფრთხეებსაც ვაწყდებით ხოლმე, როგორებიცაა ტერორი, ადამიანების მძევლად აყვანა, შეიარაღებული შეტაკებები, ქუჩური გარჩევები და ა.შ.

არ დაგავიწყდეთ – თუ უცნობი პირი თქვენს დაჭერას და გატაცებას შეეცდება, ხმამაღლა დაიყვირეთ: "მიშველეთ, მე ამ პიროვნებას არ ვიცნობ". შეეცადეთ ხელიდან დაუსხლტეთ მას და გაიქცეთ.

ბუნებრივი და ტექნოგენური ხასიათის კატასტროფების წინაშე უმწეოები რომ არ აღმოვჩნდეთ, საკუთარი თავის დაცვა და სხვებისათვის დახმარების აღმოჩენა უნდა შეგვეძლოს.



1. ვაგონში და სახლში ხანძარი რომ გაჩნდეს, ესკალატორი რომ გაფუჭდეს, ამ დროს რა უნდა გავაკეთოთ? რა შედეგი შეიძლება მოჰყვეს აღნიშნულ სიტუაციებს?
2. თანამედროვე ეპოქაში მომხდარი დიდი კატასტროფების თაობაზე მოიძიეთ ინფორმაცია.
3. რა შეგიძლიათ შემოგვთავაზოთ ტექნოგენური კატასტროფების თავიდან ასაცილებლად? წარმოადგინეთ ეს შემოთავაზებები.
4. ქვემოთ მოცემულ ცხრილში აღნიშნეთ ხანძრის მიზეზები და მისი აღკვეთის ზომები

ხანძრის მიზეზი	აღკვეთის ზომები

4 რისთვისაა განკუთვნილი საგზაო ნიშნები

დაასრულეთ სქემა



რატომ არის მნიშვნელოვანი საგზაო ნიშნები და და საგზაო მოძრაობის წესები?

ქალაქები, დასახლებები ვითარდებიან, ფართოვდებიან და ამ დროს იმატებს ქვეითად მოსიარულეების რაოდენობაც. ქუჩებზე და გზებზე მოძრაობა დღითიდღე რთულდება: დილაობით უფროსებს სამსახურში ეჩქარებათ, პატარებს კი ბაგა-ბაღებში, სკოლებში. საღამოს ყველანი სამსახურებიდან, ბაგა-ბაღებიდან და სკოლებიდან შინ ბრუნდებიან. ამ საათებში ფეხით მოსიარულეები და მძღოლები განსაკუთრებით ყურადღებით უნდა იყვნენ. ტრანსპორტისა და ქვეითად მოსიარულეთა მოძრაობის მოწესრიგებისა და მათი უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით ქალაქის ქუჩებში, პროსპექტებსა და გზებზე საინფორმაციო და საჩვენებელ საგზაო ნიშნებს ამონტაჟებენ.

მსოფლიოს უმეტეს ქვეყნებში სატვირთო, მსუბუქ და სპეციალური დანიშნულების მქონე ავტომანქანებს აწარმოებენ. თანამედროვე ავტომობილები მძღოლებისა და მგზავრების უსაფრთხოების დაცვის ტექნიკური საშუალებებით არიან უზრუნველყოფილი. არ დაგვავიწყდეს, რომ სატრანსპორტო საშუალებები, კერძოდ – ავტომობილი, ცხოვრებაში მნიშვნელოვან ადგილს იკავებს, მაგრამ ყოველდღიურ ყოფაში ავტომობილების სიმრავლე პრობლემებსაც გვიქმნის.

გაარკვიეთ და ქვემოთ მოცემულ ცხრილში ჩაწერეთ საგზაო შემთხვევები და უსაფრთხოების ღონისძიებები

საგზაო შემთხვევების მიზეზი	უსაფრთხოების ღონისძიებები

საგზაო მოძრაობის მონაწილეები არიან ქვეითები, მგზავრები და მძღოლები. მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საგზაო მოძრაობის მონაწილეებმა განუხრელად უნდა შეასრულონ საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების წესების მოთხოვნები.

ზოგიერთი საგზაო ნიშნის განმარტება

ქვეითთა მოძრაობა აკრძალულია

ველოსიპედის სავალი ზოლი

ველოსიპედით მოძრაობა აკრძალულია

ქვეითთა სავალი ზოლი

ფრთხილად – ბავშვები

ინვალიდები

შუქნიშანი

ავტობუსის გაჩერება

ქვეითად მოსიარულეთა გადასასვლელი

მიწისქვეშა გადასასვლელი

პირველადი სამედიცინო დახმარების პუნქტი

მხოლოდ მძღოლების მიერ საგზაო წესების ცოდნით პრობლემა არ შეიძლება ჩაითვალოს ამოწურულად. რომელი წესები უნდა დავიცვათ ჩვენ – ქვეითად მოსიარულეებმა? ეს წესები რატომაა ესოდენ მნიშვნელოვანი? დაასაბუთეთ თქვენი მოსაზრებები.

საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების პრობლემა ჯერ კიდევ უძველეს დროში არსებობდა.

პირველად გზები დააგეს რომის იმპერიაში, ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე. სწორედ იმ წლებში დაიბადა გამოთქმა: "ყველა გზა რომში მიდის". რომში მიმავალი გზები ქვაფენილით იყო მოპირკეთებული და ყოველ კილომეტრში ბოძები იდგა.

ჯერ კიდევ საგზაო მოძრაობის გარიჟრაჟზე გზებზე გადაადგილება მარცხენამხრიანი იყო. მიზეზი კი ის გახლდათ, რომ ქვეითებსა და ცხენოსნებს მტრის მოულოდნელი თავდასხმისას თავის დაცვა შეძლებოდათ მარჯვენა ხელით.

საგზაო მოძრაობის უსაფრთხოებისადმი მიძღვნილი პირველი კონფერენცია პარიზში გაიმართა 1909 წელს. ამ კონფერენციაზე მიღებული იქნა პირველი კონვენცია და დამტკიცდა ოთხი სახის საგზაო ნიშანი. ესენი იყვნენ: გზაჯვარედინი, რკინიგზის გადასასვლელი, დაკლაკნილი გზა და შესახვევის მიმანიშნებელი ნიშანი. ეს საგზაო ნიშნები შეფერხებიდან 250 მეტრის მოშორებით იყო დადგმული.

გაარკვიეთ მოცემული სურათების მიხედვით ფეხით მოსიარულემ რომელი წესები უნდა დაიცვას? ეს წესები რისთვისაა მნიშვნელოვანი?

საგზაო წესების სრულყოფილად ცოდნა აუცილებელია, რათა საგზაო შემთხვევის მსხვერპლად არ ვიქცეთ. თუ თქვენი ამხანაგები საგზაო მოძრაობის წესებს არ იცავენ, თქვენ მათ არ უნდა აჰყვეთ. გზებზე მკაცრად უნდა დაემორჩილოთ საგზაო მოძრაობის წესებს და არ მოიქცეთ თვითნებურად.



1. რვეულში ჩახატეთ ცხრილი და ჩაწერეთ, თუ რას აღნიშნავენ მოცემული საგზაო ნიშნები

საგზაო ნიშნები	რას აღნიშნავს?	მნიშვნელობა

2. გზა არის დანგრეული, მაგრამ თუ ამის მაუწყებელი საგზაო ნიშანი არ არსებობს, რა მოხდება?
3. დიდ ქალაქებში ბევრი მანქანა მოძრაობს, რაც მათ გადაადგილებას ართულებს. რა შეგიძლიათ იღონოთ ამ სირთულის აღმოსაფხვრელად?
4. იქ, სადაც თქვენ ცხოვრობთ, რომელი საგზაო ნიშანია დადგმული მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად?
5. მოცემული თემა დაასრულეთ.

გუსალი მესამე კლასში სწავლობს. ის მამასთან ერთად შამქორში მიდიოდა ბებიასთან. გზაში ფიქრობდა – რა მოხდებოდა, ეს საგზაო ნიშნები რომ არ იყოს?

5 საგზაო წესები უნდა დავიცვათ



სურათის მიხედვით გაარკვიეთ – ვინ იცავს საგზაო მოძრაობის წესებს და ვინ – არღვევს.

უმეტეს შემთხვევაში, არა მარტო მძღოლები არღვევენ წესებს, არამედ ქვეითებიც, რის შედეგადაც ადგილი აქვს უბედურ შემთხვევებს. კერძოდ, უბედური შემთხვევის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი არის საგზაო მოძრაობის წესების არცოდნა ან მისი შეგნებულად დარღვევა.

მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქვეითად მოსიარულეთა მხრიდან მეტი ყურადღება, საგზაო მოძრაობის წესების ცოდნა და ამ წესების მუდმივად გამოყენება.

ორმხრივი მოძრაობის მქონე ქუჩაზე გადასვლის დროს, ქუჩის შუაში მისვლამდე ჯერ მარცხენა მხარეს უნდა დააკვირდე, გზის შუა ნაწილის გადაკვეთის შემდეგ კი – მარჯვენა მხარეს.

მსოფლიოში ყველაზე განიერი გზაა ბრაზილიაში, “მონუმენტალ ახისში”, სადაც ერთდროულად ერთმანეთის გვერდით შეიძლება იმოძრაოს 160-მა ავტომანქანამ.

თქვენთვის, მოწაფეებისთვის საგზაო მოძრაობის წესების ცოდნა ემსახურება საკუთარი უსაფრთხოების სისტემის ჩამოყალიბებას.

ბავშვებო, თქვენ წლითიწლობით იზრდებით, მრავალი თქვენთაგანი უკვე გზებზე და ქუჩებზე დამოუკიდებლად გადაადგილდება. ბუნებრივია, რომ თქვენს გადაადგილებას ვერ აკონტროლებენ თქვენი მშობლები და პედაგოგები. ამიტომ, საგზაო მოძრაობის წესების ცოდნა და გზებსა და ქუჩებში მისი განუხრელად დაცვა სავალდებულოა.

თქვენთვის უკვე დაწყებითი კლასებიდან ცნობილია საგზაო მოძრაობის წესების შესახებ. ეს წესები გაიხსენეთ და რვეულში ჩაწერეთ.

დისციპლინირებულ ფეხით მოსიარულეს, უპირველესად, ნათელი წარმოდგენა უნდა გააჩნდეს საფრთხეების შესახებ. თუ ამის შესახებ წარმოდგენა არ გვექნება, თვითნებურად მოვიქცევით. ჩვენ გვგონია, რომ სწრაფად ვმოძრაობთ და ახლოს მყოფი მანქანის გადასწრებაც შეგვიძლია, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ სატრანსპორტო საშუალების უცებ დამუხრუჭება შეუძლებელია. მიუხედავად იმისა, რომ მძღოლი ამუხრუჭებს მანქანას, მის გაჩერებას გარკვეული დრო და მანძილი სჭირდება.

საგზაო პოლიციელი გვირჩევს: დაიცავით საგზაო მოძრაობის წესები.

! *ჯგუფურად მოძრაობა ნებადართულია მხოლოდ დღე-ღამის ნათელ დროს, უფროსების თანხლებით, ტროტუარზე და ქვეითთა სავალ ზოლზე. თუ მონიშნული გადასასვლელი არ არის, მაშინ გადასვლისას ჯერ უნდა გაიხედოთ მარცხნივ, შემდეგ კი – მარჯვნივ.*

! *შუქნიშნით გაწყობილ ქვეითთა გადასასვლელებზე დაემორჩილეთ შუქნიშნის მოწოდებას: “გაიარეთ”, “გაჩერდით”.*

! *დღედამის ბნელ დროს, გზის გაუნათებელ მონაკვეთზე, მოძრაობა ნებადართულია მხოლოდ მაშინ, როცა არ მოძრაობს სატრანსპორტო საშუალება, ან გადასასვლელ არეალს ანათებს მოძრავი მანქანის შუქი.*

! *სატრანსპორტო საშუალების უკანა მხრიდან შემოვლით გზის გადაკვეთისას უნდა დავრწმუნდეთ, რომ საპირისპირო მხრიდან არ მოდის მანქანა.*

! *ქუჩებსა და გზებზე გადასვლისას უნდა გამოვიყენოთ სპეციალური გადასასვლელი ხიდები, ან საგზაო მოძრაობის ნიშნებით მოწყობილი გადასასვლელები.*

! *გზის გადაკვეთისას, თუ აუცილებლობა არ მოითხოვს, არ უნდა შეყოვნდეთ.*

მოძრაობისას არ უნდა ვესაუბროთ და შევუშალოთ ხელი მძღოლს, რათა არ გავფანტოთ მისი ყურადღება.

! *ქუჩაში ქვეითად მოსიარულეებმა უნდა ისარგებლონ ტროტუარით.*



1. შეიძლება, რომ მძღოლებისა და ქვეითად მოსიარულეთა საგზაო მოძრაობის წესები იყოს ერთნაირი? რატომ?

2. თუ საგზაო მოძრაობის წესები არ იქნება, რა შეიძლება მოხდეს? ამის შესახებ დაწერეთ თემა.

3. ქვემოთ მოცემულთაგან რომელია სწორი?

ა) მძღოლებმა და ქვეითად მოსიარულეებმა მოძრაობის ერთნაირი წესები უნდა დაიცვან.
ბ) ქუჩებსა და გზებზე გადასვლისას ქვეითებმა უნდა გამოიყენონ სპეციალური გადასასვლელი ხიდები, ან საგზაო მოძრაობის ნიშნებით მოწყობილი გადასასვლელები.
გ) საგზაო მოძრაობის წესების ცოდნა არ არის სავალდებულო.
დ) საგზაო მოძრაობის წესებს მხოლოდ ქვეითად მოსიარულეები უნდა დაემორჩილონ.
ე) საგზაო შემთხვევები მხოლოდ მძღოლთა უყურადღებობის მიზეზით ხდება.

ვისეირნოთ ბუნებაში და გავიცნოთ იგი

1 ბუნებაში არსებული საგნები და ნივთიერებანი

ვისეირნოთ ბუნებაში
და გავიცნოთ იგი

პირველ რკინის ნაკეთობებს, ჩვენს წელთაღრიცხვამდე 2000 წელს, ეგვიპტეში, ასურეთში, ინდოეთში და ჩინეთში ამზადებდნენ.

სურათის მიხედვით ჩამოთვალეთ მასზე ასახული ნივთები

ალამი, ხე, ბურთი, გლობუსი, რვეული, რადიო, ტელევიზორი და ა.შ. არიან ნივთები. ზოგიერთ ამ საგანს ადამიანი თვითონ აკეთებს, ზოგი მათგანი კი ბუნებაში არსებობს. რომელი ნივთიც ადამიანის მიერ არ არის გაკეთებული, ის ბუნებრივ საგნად ითვლება. საგნებს თავიანთი ფორმა და მოცულობა გააჩნიათ. არსებობს ერთნაირი მოცულობის, მაგრამ სხვადასხვა ფორმის საგნები და, ამავდროულად, სხვადასხვა მოცულობის და ერთნაირი ფორმის საგნები.

რა შეგიძლიათ თქვათ ქვემოთ მოცემული საგნების ფორმებისა და მოცულობის შესახებ?

ჩვენს გარშემო საგნები სხვადასხვა ნივთიერებებისაგან შედგება. წყალი, ჰაერი, რეზინი, პლასტმასა, შაქარი, კარაქი და ა.შ. ნივთიერებებია. ერთნაირი ნივთიერებებისაგან სხვადასხვა საგნები შეიძლება გაკეთდეს, და პირიქით – სხვადასხვა ნივთიერებებისაგან შესაძლებელია გაკეთდეს ერთნაირი საგნები. მაგალითად, კალამი – მეტალისაგან და პლასტიკური ნივთიერებისაგან, ტაფები – სპილენძისა და ალუმინისაგან და ა.შ.

ქვემოთ მოცემულ სურათზე საგნები რატომაა ამგვარად დაჯგუფებული?



ბუნებაში არსებობს მილიონობით საგანი. ზოგიერთი ბუნებრივი ნივთიერებისგანაა შექმნილი, ზოგი კი ხელოვნური გზით.

როგორ განვასხვავოთ ერთმანეთისაგან ნივთიერებები?

საგნებსა და ნივთიერებებს შორის ყოველთვის არსებობს ურთიერთკავშირი. შესაძლებელია ნივთიერებებით სხვადასხვა საგნების კეთება, ან ერთი ნივთიერებიდან მეორე ნივთიერების მიღება.

ბუნებაში ნივთიერებები რა ფორმით არსებობენ? განიხილეთ სურათის მიხედვით.

ნივთიერებები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან. ბუნებაში ისინი ოთხი სახით გვხვდებიან: თხევადი, მყარი, აირისა და პლაზმის სახით.

ქვა, რკინა, ყინული და ა.შ. ნივთიერების მყარი ფორმაა. წყალი, ბენზინი, ნავთი და ა.შ. – თხევადია. აირის სახის ნივთიერებაა ბუნებრივი გაზი, ჰაერი, ნახშირბადი.

ცეცხლის ნაპერწკალი და ა.შ. ნივთიერებების პლაზმური სახეობაა. მეცნიერები სხვადასხვა მეთოდებით შეისწავლიან ნივთიერებებს, მათ თვისებებს, ბუნებრივ მოვლენებს, სულიერ და უსულო საგნებს.



1. პასუხები რვეულში ჩაწერეთ.
ა) რა მოხდება, თუ ქვაბები ხისგან იქნება დამზადებული,
ბ) მაკრატელი პლასტმასისაგან,
გ) ფეხსაცმელები შუშისაგან
2. მოცემული საგნები რომელი ნივთიერებისგანაა შექმნილი? დააჯგუფეთ.

3. იპოვეთ სწორი მიმართულება



4. დაასრულეთ კროსვორდი

1. ვიქტორ ჰიუგოს ნაწარმოები.
2. კინოს მთავარი ატრიბუტი.
3. საოპერო შესრულების ფორმა.
4. ცეკვის ელემენტი.
5. აზერბაიჯანის დედაქალაქი.



პასუხები:
1. "საბრალონი"; 2. ეკრანი; 3. არია; 4. ბუქნი; 5. ბაქო;

2 \ გარემოს ფაქტორები და ბუნებრივი მოვლენები

გარემოს ყურადღებით რომ დავაკვირდეთ, სხვადასხვა ცოცხალ არსებებს ადმოვაჩენთ.

გარემო, სადაც ადამიანი, ცხოველი, მცენარე, სოკო თუ სხვა სულიერი ან უსულო ორგანიზმები არსებობენ, მთლიანობაში ბუნებრივ გარემოდ ადიქმება. გარემო და ორგანიზმი ერთიანობას ქმნიან. ყველა სულიერი თუ უსულო ორგანიზმი გარკვეულ გარემოშია შექმნილი და შეგუებულია იმ გარემოს. ორგანიზმი მუდამ განიცდის გარემოს ზეგავლენას. რომელია ბუნების გარემო ფაქტორები?

სულიერ არსებებზე გავლენას ახდენენ შემდეგი ფაქტორები – ჰაერი, სინათლე, ტემპერატურა, ორგანიზმები, სხვადასხვა მოვლენები, ნავთი, მიწა, წყალი, რადიაცია, რომელსაც, ამავე დროს, ეკოლოგიურ ფაქტორსაც ვუწოდებთ. ეს ფაქტორები ორ ნაწილად იყოფიან – სულიერ და უსულოდ. რომელიმე ერთი ფაქტორი თუ სერიოზულ ცვლილებას განიცდის, იმ გარემოში ორგანიზმის ცხოვრება რთულდება, რამაც შეიძლება იგი გაანადგუროს.

ბუნებაში თუ სინათლე არ იქნება, მცენარეები განადგურდებიან. ასე რომ, თუ ბნელ ოთახში ხანგრძლივი დროით შევინახავთ მცენარეს, იგი გაყვითლდება და გახმება. ცხოველების უმეტესობა გაზაფხულზე და ზაფხულის თვეებში აქტიურები არიან და მრავლდებიან.

ტემპერატურა ბუნების ერთ-ერთი მთავარი ფაქტორთაგანია. სულიერი არსებების ყოფისათვის სითბო აუცილებელია. მაგრამ ორგანიზმები არათუ ძლიერ სიცივეს, მაღალ სიცხესაც ვერ უძლებენ და იღუპებიან.

წყალიც ბუნების ერთ-ერთი მთავარი ფაქტორია და აუცილებელია ორგანიზმის არსებობისათვის. სადაც წყალი არ არის, იქ სულიერი არსება ვერ იცოცხლებს.

სულიერ არსებათა ცხოვრებაში წყლის ზეგავლენის თაობაზე თქვენი მოსაზრებები წარმოადგინეთ.

უსულო ფაქტორები – სინათლე, ტემპერატურა, წყალი, მიწა და რელიეფი სულიერი არსებებისათვის აუცილებელია. მთიან ზონაში ასვლისას ტემპერატურა იკლებს და ამ ადგილებში სიცივის ამტანი ცხოველები ცხოვრობენ და მცენარეები ხარობენ.

მზის სხივებს შეუძლიათ ოკეანეში ათასი მეტრის სიღრმეზე ჩააღწიონ



გარემოს ცოცხალ ფაქტორებად ძირითადად ბაქტერიები, სოკოები, მცენარეები და ცხოველები იგულისხმებიან. ცოცხალი არსებები ზეგავლენას ახდენენ ერთმანეთზე. მაგალითად, ბალახისმჭამელი ცხოველები მცენარეებით იკვებებიან, ველური ცხოველები კი ძირითადად ბალახისმჭამელი ცხოველებით იკვებებიან. ამიტომაც, ბუნებრივ ფაქტორებსა და სულიერ არსებებს შორის კვებითი ჯაჭვი იქმნება. თუ ეს ჯაჭვი არ იარსებებს, სულიერი არსებები ვერ იცოცხლებენ.

ბუნებაში სხვადასხვა ცვლილებები ხდება. ყველანაირ მომხდარ ცვლილებას მოვლენას ვეძახით.

მაგალითად, ბუნებრივი მოვლენებია – **მზის ჩასვლა და ამოსვლა, ელვა, ჭექა-ქუხილი, მზის და მთვარის დაბნელება, ვულკანების ამოხეთქვა, მიწისძვრები, წყლის გაყინვა და აორთქლება, ყინულის დნობა**

მდინარეების ადიდება, მცენარეების ზრდა და აყვავება, ცხოველების გამრავლება, გაზაფხულზე მწერებისა და ფრინველების გამოჩენა.

ზოგიერთი ბუნებრივი მოვლენა პრობლემებს ქმნის. მაგალითად, ჩვენი რესპუბლიკისათვის არაა დამახასიათებელი კოკისპირული წვიმები ან დიდი სიცხეები, რომლებიც ზიანს აყენებენ როგორც ადამიანს, ასევე ბუნებას.

ამხანაგებთან ერთად იმსჯელეთ, თუ რა ზიანი შეიძლება მიაყენოს კოკისპირულმა წვიმებმა ადამიანებს და ბუნებას.

მდინარე მტკვრის ადიდება.

ბუნებაში ყოველთვის ხდება ანომალიური მოვლენები. ერთ წელს შეიძლება იყოს პაპანაქება სიცხე, შემდეგ წელს კი დაიჭიროს ცივი და წვიმიანი ამინდები. ამჟამად მსოფლიოში მოსალოდნელია ჰავის (ამინდის) გლობალური ცვლილება. ეს აზერბაიჯანზეც მოახდენს ზეგავლენას.

ყოველივე აღნიშნული გახლავთ ბუნებრივი მოვლენა, მაგრამ ანომალური ცვლილებები არა მარტო ბუნებაზე ზემოქმედებს, არამედ ცოცხალ არსებებზეც. მაგალითად, გვალვის დროს ზოგიერთი მწერები მასიურად მრავლდებიან. თუ მრავლდებიან მუხლუხა ჭიები, ისინი ტყეებში ფოთლებს ანადგურებენ. კიდევ ერთი მაგალითი: კუტკალიებისა და მღრღნელების მასობრივად გამრავლება ბიოლოგიურ წონასწორობაზე ზეგავლენას ახდენს. მაგალითად, კუტკალიები მასობრივად ანადგურებენ მწვანე ბალახისეულ საფარს და ნათესებს. ასეთი მოვლენები, ხშირ შემთხვევაში, დიდ ზიანს აყენებენ სოფლის მეურნეობას. აზერბაიჯანის ზოგიერთ რაიონებში, უკანასკნელ წლებში, გველების მასობრივი გამრავლება შეიმჩნევა. ასეთი უჩვეულო მოვლენები უხვადაა გარესამყაროში.

ვისეირნოთ ბუნებაში
და გავიცნოთ იგი



1. იპოვეთ სწორი მიმართულე-

2. ბაქტერიები მცენარეთა და ცხოველთა ნაშთებს შლიან და მინერალებად გარდაქმნიან მათ. მიდებულ მასას ნეშომპალა ეწოდებარა მოხდება, თუ ბუნებაში არ იქნება ამგვარი მოვლენა?

3. წყლის აუზების გაჭუჭყიანება ტყეების განადგურებას და მწერების პოპულაციის შემცირებას იწვევს. რა მოხდება, თუ ბუნებაში მწერები არ იარსებებენ?

4. ნაძვის ხის ქვედა ტოტები მალე ხმება. გამოარკვიეთ მიზეზი.



5. დააჯგუფეთ სულიერი და უსულო ფაქტორები



3 ბუნება განრისხებულია

ხშირ შემთხვევაში ჩვენს ჯანმრთელობას საფრთხე ემუქრება ჩვენზე დამოკიდებული მიზეზებით და ჩვენგან დამოუკიდებლადაც. უეცრად ყველგან შეიძლება წავაწყდეთ საფრთხეს. ფრაზა "საგანგებო სიტუაცია" ხშირად გვესმის ტელევიზორში, რადიოში, ვკითხულობთ ჟურნალ-გაზეთებში.

ვულკანი

რას ნიშნავს ფრაზა "საგანგებო სიტუაცია"? რა კავშირი აქვს ამას ჩვენს უსაფრთხოებასთან?

ყოველდღე მსოფლიოში ხდება დაახლოებით 50.000-მდე მიწისძვრა. მათი უმეტესობა სუსტია.

ბუნებრივი მოვლენებიდან მიწისძვრა, ვულკანის ამოფრქვევა, წყალდიდობა, ნიაღვრები, მეწყერები, ცუნამი, ქარბუქი, ტორნადო და ა.შ. სტიქიური მოვლენებია.

სტიქიური მოვლენები ორ სახეობად ჯგუფდებიან: ბუნებრივი და ტექნოგენური.

მიუხედავად მეცნიერებასა და ტექნიკაში მიღწეული წარმატებებისა, ჩვენ, ხშირად, უძლურები ვართ სტიქიის წინაშე. ზოგჯერ სტიქია ათასობით ადამიანის სიცოცხლეს იწირავს.

წყნარი ოკეანის დასავლეთში ქარიშხალს ტაიფუნს ეძახიან, ინდოეთში – ციკლონს ავსტრალიაში კი ვილი-ვილის.

მიწისძვრა ყველაზე დამანგრეველი ძალის მქონე სტიქიური მოვლენაა. ის შეიძლება მოხდეს ხმელეთზე და წყლის ქვეშაც. მიწისძვრების შედეგად მოძრაობს ნიადაგი, ოკეანის ზედაპირზე წარმოქმნის ცუნამს, რაც დიდ ზიანს აყენებს ადამიანებს. ძლიერი მიწისძვრის შედეგად იღუპება უამრავი ადამიანი, ინგრევა სახლები. მიწისძვრას ერთ წამში შეუძლია გაანადგუროს ადამიანების მიერ საუკუნეობით შექმნილი სიკეთე. ყველაზე ძლიერი მიწისძვრა 12-ბალიანია. მიწისძვრები ჩვენს ქვეყანაშიც ხდება. მე-12 საუკუნეში განჯაში მომხდარი მიწისძვრის შედეგად ქალაქი განადგურდა და უამრავი ადამიანი დაიღუპა. გასული საუკუნის დასაწყისში მომხდარი მიწისძვრის შედეგად ქალაქი შამქორი მთლიანად განადგურდა.

2015 წლის 4 დეკემბერს ძლიერი ჩრდილოეთის ქარის შედეგად ზღვაზე ტალღის სიმაღლემ 9-10 მეტრს მიაღწია. ამის შედეგად "გუნეშლის" საბადოში წყალქვეშა გაზსადენი მილის საყრდენი დაზიანდა, რის შედეგადაც საშინელი ხანძარი მოხდა.

ეს მოვლენები შეაფასეთ სხვადასხვა ასპექტში.

წყალდიდობა ერთ-ერთი მძიმე სტიქიური მოვლენაა. მდინარესა თუ ტბებში წყლის დონის აწევა გარემოს წყლით დატბორვას იწვევს. წყალდიდობა შეიძლება გაგრძელდეს რამდენიმე საათით, ზოგჯერ კი ორი-სამი კვირის განმავლობაში. იგი ანგრევს შენობებს, გზებს, ხიდებს, ანადგურებს სახლებს, ადამიანებს, შინაურ და გარეულ ცხოველებს. წყალდიდობები დამახასიათებელია აზერბაიჯანისთვის.

ზვავი, ძლიერი ნიაღვრები, მეწყერები ბუნებრივი მოვლენებია, ხდება მთაგორიან ადგილებში და დიდ ზიანს აყენებს ადამიანებს, საფრთხეს უქმნის კომუნიკაციებს და ა.შ.



1. გადაიტანეთ ცხრილი რვეულში და ჩაწერეთ უჯრებში მოსალოდნელი საფრთხეები

საგანგებო მოვლენა	**თვისება**	**მოსალოდნელი საფრთხე**

2. შეადგინეთ სია – რა საფრთხის წინაშე შეიძლება აღმოვჩნდეთ ცუნამის დროს.

3. ძლიერი წყალდიდობისაგან მიყენებული ზიანის შესახებ დაწერეთ ესე.

4. საგანგებო სიტუაციის სამინისტროს მოვალეობათა შესახებ მოაგროვეთ ინფორმაცია.

5. შექმენით სია ჩვენს რესპუბლიკაში უკანასკნელ პერიოდში მომხდარი საგანგებო სიტუაციების შესახებ.

6. დახატეთ სურათი, თუ რომელი საგანგებო სიტუაცია მიგაჩნიათ ყველაზე საშინლად.

4 მზის სისტემაში მომხდარი მოვლენების საიდუმლო

ვისეირნოთ ბუნებაში
და გავიცნოთ იგი

შეხედეთ სურათს და ამხანაგებთან ერთად იმსჯელეთ, თუ რა იცით მასზე გამოსახულის შესახებ. მთლიანობაში რა შეიძლება ვუწიოდოთ ამ სურათს?

ჩვენს გარემოში კოსმოსი მუდმივი და უსასრულო სამყაროა. კოსმოსში მრავალი ციური სხეული არსებობს: ვარსკვლავები, პლანეტები, თანამგზავრები, ასტეროიდები, კომეტები, მეტეორიტები და ა.შ. ეს ციური სხეულები ერთმანეთთან მჭიდრო კავშირში არიან და სისტემებს ქმნიან. ამ სისტემებს გალაქტიკები ეწოდებათ. კოსმოსში ასეულ მილიონობით გალაქტიკაა.

მზის სისტემის მთელი პლანეტები იუპიტერში ჩაეტევა.

ჩვენს გალაქტიკას "ირმის ნახტომი" ჰქვია. ამ გალაქტიკაში დედამიწისაგან ყველაზე ახლოს მდებარე ვარსკვლავია მზე. ის არც იმდენად დიდია და დიდი ჩანს მხოლოდ იმიტომ, რომ ჩვენთან ახლოსაა. მზის გარშემო რვა პლანეტა ტრიალებს. ეს პლანეტები მზესთან ერთად მზის სისტემას ქმნიან.

მზესთან ყველაზე ახლოს მდებარეობს პლანეტა მერკური. მერკურის შემდეგ მოდის ვენერა. რომელიც ყველაზე ახლოსაა დედამიწასთან. პლანეტები მზისგან ასეა განლაგებული: მერკური, ვენერა, დედამიწა, მარსი, იუპიტერი, სატურნი, ურანი, ნეპტუნი.

დედამიწა რვა კოსმიური მოგზაური ოჯახის მესამე პლანეტაა. ჩვენ ვცხოვრობთ "კოსმოსურ სფეროზე", რომლის დიამეტრია 12. 750 კილომეტრი.

ჩვენი პლანეტა ძალიან დიდია? ის მერკურზე, მარსზე და ვენერაზე დიდია. იუპიტერთან, სატურნთან და ურანთან შედარებით კი ძალზე პატარაა. დედამიწამ თავის ღერძზე ერთხელ შემოსაბრუნებლად 40.000 კილომეტრი უნდა გაიაროს.

მარსზე მოების სიმაღლე 20-25 კილომეტრს აღწევს.

პლანეტები მზის გარშემო ტრიალებენ, პლანეტების გარშემო კი ბრუნავენ მათი თანამგზავრები. ვენერას და მერკურის თანამგზავრები არ გააჩნიათ.

მზის სისტემაში ხდება შემდეგი მოვლენები: მზისა და მთვარის დაბნელება, პლანეტების აღლუმი, მოძრაობა და ა.შ.



როგორც სხვა პლანეტები, ასევე დედამიწაც მოძრაობს. იგი საკუთარი ღერძის გარშემოც მოძრაობს და მზის გარშემოც.

1. დედამიწის მოძრაობა საკუთარი ღერძის გარშემო.

ამ დროს რა ხდება?

დედამიწა თავისი ღერძის გარშემო დასავლეთიდან აღმოსავლეთის მიმართულებით მოძრაობს. იგი საკუთარი ღერძის გარშემო ერთხელ შემობრუნებას 24 საათს ანდომებს. ამ მოძრაობის შედეგად იქმნება დღე და ღამე. რომელ ნაწილსაც მზის შუქი ეცემა, იქ დღეა, საპირისპირო მხარეს კი ღამეა.

2. დედამიწის მოძრაობა მზის გარშემო.

ამ დროს რა ხდება?

დედამიწა მოძრაობს როგორც საკუთარი ღერძის, ასევე მზის გარშემო. დედამიწა მზის გარშემო ერთ სრულ შემობრუნებას 365 დღე-ღამეს, ანუ ერთ წელიწადს ანდომებს. ეს კი პლანეტაზე სეზონების შექმნის მიზეზია.



1. ხელის ფანარი მიანათეთ გლობუსს და აღწერეთ დღისა და ღამის არსებობა.
2. ზოგიერთ ქვეყნებში მხოლოდ ზაფხულია. აღწერეთ ამის დადებითი და უარყოფითი მხარეები.
3. პლანეტების აღლუმის შესახებ მოიძიეთ ინფორმაცია.

5 ეკოლოგიის გავლენა სულიერ არსებებზე

წიწვოვანი მცენარეები ყველაზე ყინვაგამძლენი არიან

ყარაბაღის კონფლიქტის დროს ცხოველებმა საომარი ზონა მასიურად დატოვეს. თქვენი აზრით, რა არის ამის მიზეზი?

ბუნებაში მომხდარი ცვლილებები სხვადასხვანაირად აისახება სულიერ არსებათა ყოფაზე. ორგანიზმები ამ ცვლილებებს განსხვავებულად ეგუებიან.

მაგალითად, ზოგიერთი ბაქტერია +146 გრადუს ტემპერატურას, ჩრდილოეთის მცენარეები და ცხოველები კი –70 გრადუს ტემპერატურას უძლებენ.

არსებობენ ისეთი ორგანიზმები, რომლებიც გარემო პირობების ცვლილებებს ვერ ეგუებიან. მაგალითად, ხმელეთზე არსებობას მიჩვეული მცენარეები და ცხოველების უმეტესობა პაპანაქება სიცხისა და გაუსაძლისი ყინვების დროს იღუპებიან.

სულიერ არსებებს ძლიერი ყინვებისა და სიცხეებისაგან გადარჩენის რა თავდაცვის უნარი აქვთ? გაარჩიეთ და იმსჯელეთ.

თქვენ იცით, რომ მზე სიცოცხლის წყაროა, მაგრამ მისი სულიერ არსებებზე ზეგავლენა რომ დავადგინოთ, ვნახავთ, რომ დედამიწამდე მზის სხივების მხოლოდ ნაწილი აღწევს. მიუხედავად იმისა, რომ მზე ასხივებს ულტრაიისფერ სხივებს, რომელიც თვალისათვის შეუმჩნეველია, იგი ძლიერ გავლენას ახდენს დედამიწაზე განვითარებულ მოვლენებზე. ამ სხივების ერთ ნაწილს ატმოსფეროში შედწევისაგან აკავებს ოზონის სქელი ფენა. თუ ეს ფენა არ იქნებოდა, მზის ულტრაიისფერი გამოსხივება დედამიწაზე მცხოვრებ ყველა არსებას გაანადგურებდა. ასე რომ, სულიერი არსებები შეგუებულნი არიან მზის იმ სხივებს, რომელიც დედამიწამდე აღწევს. ამ სხივების მცირე რაოდენობა დადებით გავლენას ახდენს ორგანიზმზე. ულტრაიისფერი სხივების მეშვეობით ადამიანს სხეულში **D** ვიტამინი წარმოიქმნება.

*** ულტრაიისფერი სხივები – მზის მოკლეტალღიანი სხივები**

იქმნება. ორგანიზმში **D** ვიტამინის ნაკლებობისას ბავშვების ძვლები რბილდება, უდიდდებათ თავი, უქვეითდებათ იმუნიტეტი. ასეთი შემთხვევები რომ არ მოხდეს, ექიმები გვირჩევენ, რომ პატარები ჰაერზე ვასეირნოთ. მაგრამ მზის სხივების გადამეტებული დოზაც საზიანოა ორგანიზმისათვის. მზეზე დიდ ხანს გაჩერებისას ადამიანმა შეიძლება მზის დარტყმა მიიღოს და კანზე გაჩნდეს დამწვრობები.

აქლემთან შედარებით თაგვი ბევრად უფრო დიდხანს ძლებს უწყლოდ.

ამჟამად, ატმოსფეროში, ზოგ ადგილებში ოზონის ფენა დაშლილია. ამ ადგილებში გაღწეული სხივები ცოცხალ არსებებზე და მცენარეულ საფარზე უარყოფით გავლენას ახდენენ. ამის შედეგად ადამიანებში ვითარდება სხვადასხვა სახის დაავადებები. მზიდან ულტრაიისფერი სხივების დიდი ნაკადის წამოსვლის შემთხვევაში, ექიმები გვირჩევენ, რომ სახლებში დავრჩეთ და მზეზე დიდი ხნით არ დავყოვნდეთ.

ქარხნებიდან გაშვებული მავნე აირები, მანქანების გამონაბოლქვი, წყლებში ჩაღვრილი ქიმიური ნივთიერებები ადამიანების ჯანმრთელობაზე, ცხოველებისა და მცენარეების არსებობაზე უარყოფითად აისახება. გარემოს ცვლილებები: სიცხე და გვალვა, ძლიერი ყინვები, ვულკანების ამოფრქვევა, ხანძრები და ა.შ. უამრავი მცენარისა და ცხოველთა ჯიშების ამოწყვეტის მიზეზი ხდება.

1. შემოხაზეთ მართებული პასუხები.

I. ბაქტერიები ყველაზე ძლიერ სიცხეებს უძლებენ.

II. თუ ოზონის ფენა დაიშლება, ცხოვრება გაგრძელდება.

III. ულტრაიისფერი სხივები კანზე ვიტამინს წარმოქმნის.

IV. თუ მზეზე დიდ ხანს გავჩერდებით, მზის დარტყმას მივიღებთ.

V. ულტრაიისფერ სხივებს ადამიანი ხედავს.

VI. ხმელეთზე მცენარეები პლუს 100 გრადუს ტემპერატურას უძლებენ.

VII. მანქანის გამონაბოლქვი გარემოს აბინძურებს.

VIII. ზოგიერთი ცხოველის გადაშენების მიზეზი იყო გამყინვარება.

2. მოიყვანეთ მაგალითები, თუ თანამედროვე ეპოქაში როგორ ზემოქმედებს ადამიანის ნამოღვაწარი გარემოზე.

3. მოიყვანეთ მაგალითები, თუ როგორ ზემოქმედებს გარემო ადამიანის ორგანიზმზე.

4. არსებობს ერთი ქალაქი, სადაც გარემო ძალიან დაბინძურებულია. ამ ქალაქში ჰაერის გასაწმენდად, ადამიანების ამ უბედურებიდან დასახსნელად გასატარებელია ზოგიერთი ღონისძიება. თქვენი აზრით, ქვემოთ ჩამოთვლილი ღონისძიებებიდან რომელი შეიძლება ავირჩიოთ?

I. ქარხნებში გამწმენდი დანადგარების მონტაჟი.

II. ქვანახშირის გამოყენების შემცირება.

III. ფაბრიკებსა და ქარხნებში ქიმიური ნივთიერებების გარემოში გაჟონვის შემთხვევათა აღკვეთა.

IV. ხეების დარგვა.

6 ადამიანი და ბუნება

ალბათ უარს არ იტყოდით მსოფლიოში მოგზაურობაზე. გიფიქრიათ, ამ დროს რა საფრთხე შეიძლება დაგემუქროთ?

არ შეიძლება წააწყდეთ მხოლოდ ისეთ საფრთხეებს, როგორიცაა ხანძარი, მიწისძვრა, ტყეში გზის არევა და ა.შ. კლიმატის ცვლილებამ შეიძლება გარკვეული საფრთხეები შეუქმნას ადამიანის ორგანიზმს.

ჩვენ შეგუებული ვართ გარკვეულ კლიმატურ ზონას, ანუ, ის გარემო პირობები – სინესტე, წელიწადის მზიანი დღეები და სხვა, უარყოფითად არ მოქმედებენ ჩვენს ორგანიზმზე. ასევე ვეჩვევით საკვებსაც. თუ მსოფლიოში მოგზაურობას ვაპირებთ, შერჩეული ქვეყნის შესახებ უნდა მოვაგროვოთ სათანადო ინფორმაცია. უნდა შევისწავლოთ არა მხოლოდ მუზეუმები, დასასვენებელი ცენტრები და სხვა ღირშესანიშნაობები, არამედ უნდა მოვიპოვოთ მონაცემები კლიმატზე*.

კლიმატის უცაბედმა ცვლილებამ შეიძლება სერიოზული საფრთხე შეუქმნას ორგანიზმს და სტრესი გამოიწვიოს. ორგანიზმი უცებ შეეგუება პირობებს, როცა სტუმრად ჩასული ქვეყნისა და შენი სამშობლოს კლიმატის პირობები მაქსიმალურად ემთხვევიან ერთმანეთს.

*კლიმატი – ამინდის პირობების ცვლის ერთობლიობა.



მეგობრებთან ერთად იმსჯელეთ, თუ როგორ გავლენას მოახდენენ ადამიანის ორგანიზმზე სხვადასხვა გარემოს ფაქტორები.

მართალია მზის სხივები ორგანიზმისათვის მნიშვნელოვანია, მაგრამ იგი, ამავდროულად, სხვადასხვა დაავადებებსაც იწვევს. ამის მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ გულის სისხლძარღვთა და ნერვიული სისტემის დაავადებები.

შემოდგომაზე ტემპერატურა იკლებს და ამინდები თანდათან გრილდება. მაგრამ, წარმოიდგინეთ, რომ უცებ, მაღალი ტემპერატურა ყინვამ შეცვალოს. ამ დროს ორგანიზმი ძნელად შეეგუება ამგვარ გარემოს.

მთაგორიანი ადგილების კლიმატი სხვა ტერიტორიების კლიმატისაგან განსხვავდება. მთაში ასვლისას ატმოსფერული წნევა დაბლა იწევს. ჟანგბადი მცირდება. კლიმატის ამგვარი პირობები ადამიანში თავბრუსხვევას, ჰაერის უკმარისობას, ძილიანობას იწვევს. ეს ყველაფერი ჰაერში ჟანგბადის ნაკლებობითაა განპირობებული. მაგრამ, ადგილობრივ მოსახლეობაზე ეს პირობები არანაირად არ აისახება. ორგანიზმის გარემოსადმი შეგუებას გარკვეული დრო სჭირდება.

დედამიწა 24 სასაათო დროის სარტყელად არის დაყოფილი. გაარკვით, რა გავლენას ახდენს ორგანიზმზე დროის განსხვავებები.

არ დაგავიწყდეთ! თუ სხვა ქვეყანაში გაემგზავრებით და ეს ქვეყანა სიცხეებითაა ცნობილი, არ დაგავიწყდეთ წყლის მარაგის წაღება. ცხელ ამინდში ორგანიზმი ბევრ სითხეს ჰკარგავს.

მზის სხივებისაგან თვალების დასაცავად სპეციალური სათვალე უნდა გამოვიყენოთ.



1. ზღვის დანახვისას წამიერად წყალში ჩახტომასა და ცურვაზე ვფიქრობთ, მაგრამ ექიმები გვირჩევენ, რომ წყალში შესვლამდე გარკვეული დროით ჩრდილში ჩამოვჯდეთ. კიდევ რომელი წესები უნდა დავიცვათ? რატომ?

2. სურათზე ნაჩვენებია ამ ხალხების კლიმატთან შეგუების ნიშნები. დაადგინეთ და მიზეზები განმარტეთ.

3. წარმოადგინეთ ინფორმაცია იმის თაობაზე, თუ რა სიძნელეებს აწყდებიან კოსმონავტები კოსმოსში.

7 \ ბუნების გამოძახილი

ვისეირნოთ ბუნებაში და გავიცნოთ იგი

მსოფლიოს ყველაზე ჭუჭყიანი ზღვებიდან ერთ-ერთია კასპიის ზღვა. ეს ზღვიდან ნავთობის მოპოვებას უკავშირდება.

ტყეების მასიურად განადგურება ზოგიერთი ცხოველისა და მცენარის გადაშენების მიზეზი ხდება. როგორ განმარტავთ ამ მოვლენათა ურთიერთკავშირს?

გარემო სამყარო სულიერ არსებათა თავშესაფარია, მათი კვებისა და ჟანგბადის მიწოდების წყაროა. მაგრამ უკანასკნელ წლებში მსოფლიოში მომხდარმა ომებმა, მავნე აირებმა, ხანძრებმა, ტემპერატურის მატებამ და სხვა უარყოფითმა ფაქტორებმა მნიშვნელოვნად გააუარესეს დედამიწის კლიმატი.

ბუნება გვიხმობს: "მიშველეთ, გამანთავისუფლეთ სიბინძურისაგან". რა არის ამ გამოძახილის მიზეზი?

1. **ატმოსფეროს დაბინძურება;**
2. **წყლის დაბინძურება;**
3. **მიწის დაბინძურება.**

ადამიანი ბუნებაში ცხოვრობს და მისი ერთ-ერთი ნაწილია. ამჟამად დედამიწაზე არ არსებობს ისეთი ადგილი, რომელსაც ადამიანის ხელი არ მისწვდება. ახლა ადამიანი არა მხოლოდ ბუნების შენარჩუნებაზე, არამედ მისი გადარჩენის გზებზეც ფიქრობს.

ჰაერში ჟანგბადის შემცირება, ნახშირორჟანგის და სხვა აირების მატება ცოცხალ არსებებზე უარყოფით გავლენას ახდენს და მათი განადგურების მიზეზი ხდება.

დედამიწაზე პირველი სულიერი არსებები წყალში გაჩნდნენ. უწყლოდ ცხოვრება შეუძლებელია. წყალი, როგორც სიცოცხლის წყარო, არსებობს არა მხოლოდ წყლის აუზებში, არამედ ჰაერში, მიწაში, ორგანიზმებში. ზოგიერთ ქვეყნებში სასმელი წყლის მოპოვება დიდ პრობლემას წარმოადგენს. ამ ქვეყნებში სასმელად უვარგისი წყლის გამოყენება მოსახლეობის დაღუპვის მიზეზი ხდება.

მიწა კვების პროდუქტების მოპოვების ძირითადი რესურსია. სამწუხაროა, რომ ქალაქების ტერიტორიებისა და რიცხვის ზრდა ხდება ტყეებისა, სახნავ-სათესი მიწებისა და საძოვრების ხარჯზე. ამის შედეგად ნადგურდება ვარგისიანი მიწები.

ჯგუფურად გამოიკვლიეთ ქვემოთ მოცემულ თემები:

კასპიის ზღვის დაბინძურება	→	ცოცხალ არსებებზე ზეგავლენა
მიწის დაბინძურება	→	ცოცხალ არსებებზე ზეგავლენა
ჰაერის დაბინძურება	→	ცოცხალ არსებებზე ზეგავლენა

ცოცხალი არსება ვერ იარსებებს, თუ გარემოში არ იქნებიან უსულო ფაქტორები – სინათლე, წყალი, სითბო. სინათლის გარეშე ვერ იცოცხლებენ მცენარეები, უწყლოდ ვერ გაძლებენ ცოცხალი არსებები. წარმოიდგინეთ, რომ სითბო არ არის და ყველგან ყინვა მძვინვარებს. როგორ ასოციაციას აღძრავს ყოველივე ეს თქვენს გონებაში?

უკანასკნელი სამასი წლის განმავლობაში ადამიანმა გაანდგურა ტყის მასივების 65 პროცენტი. თუ ასე გაგრძელდა, უახლოესი 15-20 წლის განმავლობაში ტყის მასივების ფართობები განახევრდება.

განვიხილოთ მცენარეები: ნარცისი, ყაყაჩო, ვარდი და სხვა ყვავილები თვალს გვჭრიან თავისი სილამაზით. მაღლა ავიხედავთ და მზე, მთვარე და ვარსკვლავები გვახალისებენ. თუ მიწას დავაკვირდებით, რა შეიძლება მასზე დავინახოთ? სულიერ არსებათა უმეტესობა (წვიმის ჭია, ზოგი სახეობის მწერი) მიწით იკვებება.

ბუნებას კიდევ ერთი ფაქტორი აყენებს ზიანს – ეს ხმაურია, რომელიც უარყოფით გავლენას ახდენს არა მარტო ადამიანებზე, არამედ სხვა სულიერ არსებებზეც. მაგრამ, თუ თვითმფრინავი მიწასთან ახლოს გადაიფრენს, კენგურუებს, ზღვის კატებს და სხვა ცხოველებს გული უსკდებათ. ტყვიის გასროლის ხმაზე ჩიტი ბუდეში ტოვებს კვერცხებს და მიფრინავს, რის შედეგადაც ბარტყები აღარ გამოიჩეკებიან.

ერთი სიტყვით, ბუნება უნდა დავიცვათ, იმიტომ, რომ ბუნება ერთიანი ორგანიზმია და მისი თითოეული შემადგენელი ნაწილი საიმედოდაა დასაცავი.



1. მოცემული სურათების მიხედვით დაადგინეთ ბუნებაში შექმნილი ეკოლოგიური პრობლემები.

2. დაწერეთ ესე "კასპიის ზღვის ეკოლოგიური პრობლემების" შესახებ.
3. გარე სამყაროს დაცვის შესახებ მოამზადეთ პლაკატი და სიმბოლო.
4. რა შეიძლება გამოიწვიოს ოზონის ფენის დაშლამ?
ა) არანაირი ცვლილება არაა მოსალოდნელი;
ბ) მცენარეები ძალიან ნელა განვითარდებიან;
გ) ჰაერში ნახშირორჟანგის რაოდენობა მოიმატებს;
დ) დედამიწაზე სულიერი არსებები განადგურდებიან.
5. დავიცვათ მწვანე ბუნება. ამისათვის სკოლაში შექმენით ჯგუფი და დაგეგმეთ ამ ჯგუფის გასაკეთებელი საქმე.

8 ჩვენი მოვალეობა ბუნების წინაშე

ჩვენ საკუთარი ხელებით ვქმნით ბუნებაში მეორე ბუნებას
ციცერონი

დედამ როვშანს დაავალა ყოველ დღე ნაგვის გადაყრა. მაგრამ ის ზარმაცობდა, ნაგავი სპეციალურ ყუთამდე არ მიჰქონდა და შენობის კუთხეში ყრიდა. მეზობელმა ამ საქციელის გამო უსაყვედურა. როგორ შეიძლება შეფასდეს როვშანის საქციელი?

ადამიანი ბუნებას შეისწავლის. იყენებს მას საკუთარი მიზნებისათვის. მაგრამ თუ ადამიანი ბუნებას არასწორად გამოიყენებს, მას დიდ ზიანს მიაყენებს. მაგალითად, ტყეების მოსპობით მცენარეებისა და ცხოველთა სამყაროს გაანადგურებს. ქარხნებისა და ფაბრიკებიდან სხვადასხვა ქიმიური პროცესების შედეგად მიღებული შხამიანი ნარჩენების წყალში და ჰაერში გაშვებით ცოცხალ არსებებსა და ადამიანის ჯანმრთელობას დიდი ზიანი ადგება. ეს კი მთლიანობაში დიდ დარტყმას აყენებს კაცობრიობას. ეს პროცესები თუ გაგრძელდება, ადამიანს შეუძლია ბუნებაც და საკუთარი თავიც გაანაადგუროს. ამიტომ, თვითოეული ჩვენთაგანი ვალდებულია იზრუნოს ბუნებაზე და დაიცვას იგი.

ბუნების დაცვა გლობალური პრობლემაა. სხვადასხვა სახელმწიფოებს ბუნების დაცვის საკითხებზე სპეციალური დადგენილებები აქვთ მიღებული. კაცობრიობა სოლიდარული უნდა იყოს ამ დადგენილებების აღსრულების საქმეში. ამჟამად, სახელმწიფოები, ურთიერთშეთანხმებით, ბუნების დასაცავად, სხვადასხვა ხელშეკრულებებს და შეთანხმებებს ახორციელებენ.

სურათების მიხედვით იმსჯელეთ და მსგავსი მაგალითები მოიყვანეთ

ადამიანის უფლებათა შორის ერთ-ერთი ჯანმრთელ გარემოში ცხოვრების უფლებაა. ბუნების დაცვა არა მხოლოდ სახელმწიფო ორგანოების, არამედ თითოეული ჩვენთაგანის მოვალეობაცაა.

თითოეულმა ჩვენთაგანმა უნდა იცოდეს, რომ ღღეს ბუნების მადლიერები უნდა ვიყოთ, როგორც მისი მოვალეები. ბუნება კი, ამის ნაცვლად ჩვენგან მზრუნველობას და ჰუმანურ დამოკიდებულებას ელის.

დედამიწის 11 კლიმატური ზონიდან ცხრა არის აზერბაიჯანში. ჩვენი სამშობლო ბუნებრივი სიმდიდრის მუზეუმია. მის მთებს, რომლებიც თითქმის მთელი წელი თოვლით დაფარულია, მცენარეებს, რომლებიც ათასნაირი სენის წამალია, ცხოველებით მდიდარ სამყაროს, ტბებისა და მდინარეების განუმეორებელ სილამაზეს ყველა აღტაცებაში მოჰყავს.

ბუნება ჩვენი ქონება, სიმდიდრე, ჩვენი ყოფა და ცხოვრების ერთი ნაწილია. მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარება და ამ სფეროში მიღწეული წარმატებები ადამიანის კეთილდღეობას ემსახურებიან. მაგრამ ამ პროცესებში ზოგჯერ ვარღვევთ ეკოლოგიურ წონასწორობას. ასეთი უხეში შეცდომები რომ არ დავუშვათ, მიუხედავად ენისა და რელიგიისა, ჩვენი მოვალეობაა, რომ ბუნების დაცვისას მორალური პრინციპებით ვიხელმძღვანელოთ. თითოეული ჩვენთაგანი განსაკუთრებულ მზრუნველობას უნდა ავლენდეს ბუნებრივი სიმდიდრეების მიმართ, ცხოველთა სამყაროსა და ფრინველებისადმი. თუ ვინმე ხეებს ტოტებს ამტვრევს, ან ნაგავს ყრის, ეს შეუმჩნეველი არ უნდა დავტოვოთ და არ უნდა ვთქვათ: "მე რა მესაქმება!". წინ უნდა აღვუდგეთ ამგვარი საქციელის ყოველ გამოვლინებას. ეს ყველა ჩვენთაგანის მორალური ვალია. ამას თუ არ გავაკეთებ მე, თქვენ, თქვენი მეგობრები, რა მოხდება?!

დაწყებული ამ დღიდან, ჩვენივე კარგი მომავლისთვის, ბუნება უნდა დავიცვათ. ჩვენი წინაპრებისაგან მემკვიდრეობით მიღებული ბუნების დაცვით შეიძლება იგი სამახსოვროდ დავუტოვოთ მომავალ თაობას. დაიმახსოვრეთ, რომ, ამავდროულად, ეს არის ეკოლოგიური კულტურა.



1. შეადგინეთ სია ჩვენს მოვალეობებზე ბუნების წინაშე.
2. ჩვენს რესპუბლიკაში ადამიანების უმეტესობა ქალაქებში ცხოვრობს. როგორ გავლენას ახდენს ეს გარემოზე?
3. რა შეიძლება გავაკეთოთ ბუნების დასაცავად? მოიფიქრეთ და დაწერეთ ესე.
4. მდინარეების დაბინძურებამ როგორი ზარალი შეიძლება მიაყენოს ბუნებას? მოიფიქრეთ და განმარტეთ.

ჩვენი რელიგია და ჩვენი ზნეობა



1 ადამიანის სილამაზე მის ზნეობასა და საქციელშია

ჩვენი რელიგია და ჩვენი ზნეობა

ყველაზე კარგი ადამიანი ისაა, ვისაც მეტი სარგებლობა მოაქვს ხალხისათვის
მოციქული მუჰამმედი (ს.ა.ს)

თქვენ ალბათ ხშირად გესმით სიტყვები: "ის ზრდილობიანი ბიჭია ან გოგოა". თქვენი აზრით, რა მიზეზით შეიძლება ითქვას ამგვარი სიტყვები და რა უნდა გავაკეთოთ საიმისოდ, რომ ეს სიტყვები ჩვენზეც თქვან.

თითოეული ჩვენთაგანის ყოფაქცევის საზომია საქციელი და ქმედება. მოციქულ მუჰამმედს უყვარდა კარგი საქციელის ადამიანები. წმინდა მუჰამმედს ერთხელ ჰკითხეს: "ყველაზე მეტად როგორი ადამიანი უყვარს ღმერთსო". მან უპასუხა, რომ "ღმერთს უყვარს ადამიანი, რომელიც სანიმუშო ყოფაქცევისაა".

თვითეულ ადამიანს საკუთარი გონიერება გააჩნია, აქვს თავისი ცნობიერება, სინდისი, ნებისყოფა, ოცნება, სურვილი, მსოფლმხედველობა, რწმენა, იდეები. ესენი, ყველანი ერთად, ზნეობას აყალიბებენ. თითოეული ადამიანის საქციელი მის ზნეობაზეა დამოკიდებული. ადამიანის ყოფაქცევა და ქმედება მისი ზნეობრივი ნორმების მაჩვენებელია.

კარგი ყოფაქცევის ადამიანი მკაცრად იცავს ეთიკის მოთხოვნებს. იგი არა მარტო საკუთარ თავზე ფიქრობს, არამედ სხვებზეც და ცდილობს არ დაურღვიოს მათ სიმშვიდე. კარგად აღზრდილი, მაღალი ეთიკური თვისებების მქონე ადამიანების მოღვაწეობა უაღრესად სასარგებლოა საზოგადოებისათვის.

უზეირი, რაული, გაბილი, ალი და ნიჰადი მეგობრობენ. როგორი წესები უნდა დაიცვან, რომ მათმა მეგობრობამ დიდხანს გასტანოს? დაადგინეთ ეს წესები.

ცხოვრებაში ჩვენ ხშირად ვაწყდებით არასასურველ ვითარებებს. ზოგი ადამიანი ცუდად იქცევა. ამას ჩვენ ოჯახში, სკოლაში, ხშირ შემთხვევებში კი საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში ვხედავთ. ეს შემთხვევები საზოგადოების მხრიდან მოწონებას ვერ პოულობს.

ადამიანის საქციელის ჩამოყალიბებაში დიდ როლს თამაშობს ოჯახი, ეროვნული მენტალიტეტი, სატელევიზიო გადაცემები, კინო და თეატრი. ალბათ ნანახი გაქვთ ფილმები: "გასაყოფი პური", "შავტუხა გოგო" და. "დედინაცვალი". ამ ფილმებში წინა პლანზეა გამოყვანილი ჰუმანიზმი და კაცთმოყვარეობა. ეს ფილმები ჩვენში აყალიბებს შემდეგ თვისებებს: თანამშრომლობა, წესიერება, უფროსების მიმართ პატივისცემა, ადამიანების სიყვარული.

საზოგადოებაში უამრავი პატიოსანი ადამიანი სიცრუის, ცილისწამების, თაღლითობის მსხვერპლი ხდება. ჭორიკანა ადამიანები კი ამაზე სიამოვნებით საუბრობენ. ამის მიზეზით საზოგადოებაში მკვიდრდება უარყოფითი დამოკიდებულებები და ეს უარყოფითად მოქმედებს ზნეობრივ საწყისებზე. თქვენ შეეცადეთ შორს დადგეთ სიცრუისაგან, ცილისწამებისგან, თაღლითობისაგან, იყოთ წესიერი პიროვნება და არასოდეს მოიტყუოთ.



1. მოიფიქრეთ, როგორი უნდა იყოს კარგი ყოფაქცევის ადამიანი. რომელი თვისებები უნდა გააჩნდეს მას.

2. ნახეთ ფილმი "გასაყოფი პური" და ამ ფილმის ეთიკურ მნიშვნელობაზე დაწერეთ ესე.

3. მოცემული თემის მიხედვით გაეცით პასუხი კითხვებს:

ჩინგიზს ძალიან უყვარს თავისი ბაბუა. ბაბუამისი ძალიან კულტურული, მწიგნობარი, კეთილგონიერი ადამიანია. ბევრს კითხულობს. როცა ის ოთახში შემოდის, ჩინგიზი ფეხზე დგება და მას ადგილს უთმობს. ბაბუამისს საუბრისას სიტყვას არ აწყვეტინებს და ბოლომდე ყურადღებით უსმენს. ბაბუას ჩინგიზი ხშირად დაჰყავს თეატრებსა და მუზეუმებში. როცა ბაბუა ზღვისპირა ეროვნულ პარკში მეგობრებთან ერთად მიდის ჩაის დასალევად, ამ დროსაც ჩინგიზი არ შორდება ბაბუას.

გამოხატეთ თქვენი აზრი ჩინგიზის საქციელის მიმართ.

რომელი ფაქტორია ამგვარი საქციელის მიზეზი?

თემა რომ გააგრძელოთ, ჩინგიზის ქცევებში სხვა რა შეგიძლიათ რომ დაამატოთ?

2 რელიგიური შემწყნარებლობა

გაარკვიეთ, რომელ რელიგიას ეკუთვნიან სურათები.

რა იცით ამ რელიგიათა შესახებ?

რელიგიას მსოფლიო აზროვნება ჭეშმარიტებისაკენ მიჰყავს. რელიგიის გზა დიდია, ბილიკები კი უამრავი აქვს. მსოფლიოს მოსახლეობა განსხვავებულ რელიგიებს მიაკუთვნებს თავს. ამ რელეგიებიდან ზოგიერთს გააჩნია თავისი მოციქულები, საკუთარი წესები, წმინდა წიგნები.

რელიგია არა მხოლოდ ერთ ქვეყანაშია გავრცელებული, არამედ სხვადასხვა ქვეყნებში.

მეჩეთი

ეკლესია

რელიგია უფლის ნების ცხოვრებაში განხორციელების ერთ-ერთი საშუალებაა.
ი.კანტი

თქვენ იცით, რომ აზერბაიჯანი დემოკრატიული ქვეყანაა. ჩვენს ქვეყანაში ისლამის მიმდევრების გარდა სხვა რწმენის ადამიანებიც ცხოვრობენ.

მართალია, ჩვენ ქვეყანაში მოსახლეობის უმეტესობა მუსლიმური რელიგიის მიმდევარია, მაგრამ ისინი პატივს სცემენ სხვა რელიგიის მქონე ადამიანებსაც. როგორ შეიძლება დაასაბუთოთ ეს მოვლენა?

უძველესი დროიდან აბრეშუმის გზის ხიდად ქცეული აზერბაიჯანი საუკუნეთა მანძილზე ერთმანეთთან აკავშირებდა სხვადასხვა რელიგიათა წარმომადგენლებს. ამგვარ გეოგრაფიულ მდებარეობას დიდი ზეგავლენა ჰქონდა აზერბაიჯანის ისტორიულ განვითარებაზე და მოსახლების შემეცნების ჩამოყალიბებაზე.

აზერბაიჯანის ისტორიაში ადგილი ჰქონდა შამანიზმს, ზოროასტრიზმს, მრავალღმერთიანობის რელიგიასთან ერთად აქ თანაარსებობდნენ ერთღმერთიანი ქრისტიანობა, იუდაიზმი, ისლამი. აზერბაიჯანში მორწმუნეთა რელიგიური შემწყნარებლობით აღზრდაზე ისლამი დიდ გავლენას ახდენს. ჩვენს საერთო ეროვნულ ლიდერს ჰეიდარ ალიევს ასე უთქვამს: "მსოფლიოში არსებობს უამრავი რელიგია, თითოეულს თავისი ადგილი აქვს მორწმუნეთა გულებში. ჩვენ, აზერბაიჯანელები ვამაყობთ ისლამის რელიგიით, არასდროს ვავლენთ უარყოფით დამოკიდებულებას სხვა ერების მიმართ. მტრობა არ გაგვივლია გულში, რელიგიათშორისი შუღლი არ ჩამოგვიგდია და არავისთვის დაგვიძალებია ჩვენი რელიგიის მიღება. ჩვენ ვთვლით, რომ ადამიანებმა პატივი უნდა სცენ სხვა კულტურისა და რელიგიის წარმომადგენლებს, ზნეობრივ ფასეულობებს. თუ ვინმეს სხვათა რელიგიური მრწამსი არ მოსწონს, მოთმინებით უნდა მოეკიდოს ამ რელიგიათა წარმომადგენლებს".



1. რატომ არის აზერბაიჯანი სხვადასხვა რელიგიათა დაკავშირების ადგილი?
2. ჩვენს სახელმწიფოში სხვადასხვა რელიგიათა მიმართ დამოკიდებულებისა და სახელმწიფოს მხრიდან მათზე მზრუნველობის შესახებ შეაგროვეთ ინფორმაცია.
3. იბრაჰიმის მეგობრები დავითი ებრაელია, ალექსი კი რუსი. ისინი იბრაჰიმთან სტუმრად ჩამოვიდნენ. იბრაჰიმის დედამ გულში ჩაიკრა ბიჭები და უთხრა: "თქვენ იბრაჰიმის ძმები ხართ". დედის ამ სიტყვების თაობაზე გამოთქვით საკუთარი აზრი.

2 ზეციური და არაზეციური რელიგიები



თქვენ სურათზე ხედავთ ისლამის წმინდა წიგნს – ყურანს. კიდევ რომელი რელიგიები და მათი წმინდა წიგნები იცით?

რელიგია არის ადამიანების ამქვეყნიური და იმქვეყნიური ბედნიერების შემაერთებელი ღვთიური სარწმუნოების სისტემა. როცა სიტყვა "რელიგიას" ვხმარობთ, ვგულისხმობთ სამყაროს შემქმნელისადმი რწმენის სისტემას. რელიგიები ორ ჯგუფად იყოფიან: ზეციური და არაზეციური. ზეციური რელიგიები, როგორც სახელწოდება მიანიშნებს, სულდგმულობენ ღმერთის მიერ ანგელოზების მეშვეობით გადმოცემული ზეშთაგონების* წყაროებით. ასეთ რელიგიებს ჭეშმარიტ რელიგიებს ვუწოდებთ. ერთი სიტყვით, ქრისტიანობა, იუდაიზმი და ისლამი ჭეშმარიტი რელიგიებია.

ერთმანეთს შეუდარეთ რელიგიები

რელიგიები	**მოციქული**	**წმინდა წიგნი**	**სალოცავი ადგილი**
ისლამი			
ქრისტიანობა			

ისლამის რელიგიის მიხედვით პირველი ადამიანი და მოციქული იყო ადამი. მოციქული ადამიდან იესო ქრისტემდე მოციქულები ღმერთის ერთადერთობას ქადაგებდნენ და ასწავლიდნენ ხალხს თუ როგორ უნდა შეესრულებინათ ღვთისმსახურება. წყაროების მიხედვით, ზეციური რელიგიებიდან იუდაიზმს – მოსე, ქრისტიანობას კი ქრისტე უქადაგებდნენ ადამიანებს.

ლოცვებისაგან ყველაზე დასაფასებელი რელიგიური წესების შეგნებით აღსრულებაა მოციქული ***მუჰამმედი (ს.ა.ს)***

ბოლოს ღმერთმა ადამიანების ხელახლად მოსაქცევად მოციქული მუჰამედის საშუალებით ისლამის რელიგია გამოგზავნა. ამ საკითხთან დაკავშირებით ნაბრძანებია ყურანში, სურა "მაიდაში", მესამე აიათში:

ზეშთაგონება* (ვაჰი) – ღმერთის მიერ ბრძანების მოციქულებზე გადაცემა უშუალოდ ან ანგელოზების მეშვეობით

ჩვენ ვირწმუნეთ ის რაც ზეგარდმოგვევლინა (ყურანი) და ის რაც თქვენ გადმოგევლინათ (თორა და ბიბლია). ჩვენი და თქვენი ღმერთი ერთია, დავემორჩილოთ მხოლოდ მას.
(ყურანი, სურა "ანქაბუთი")

"დღეს მე სრულვყავი თქვენი რჯული თქვენთვის, სრულად გიბოძეთ წყალობა ჩემი და ავირჩიე ისლამი თქვენს სარწმუნოებად".

ამჟამად მსოფლიოს მოსახლეობიდან 1,2 მილიარდს ისლამური რელიგია სწამს. ისლამი ზეციური რელიგიებიდან უკანასკნელად ითვლება და ღმერთისგან გამოგზავნილ ყველა მოციქულსა და წიგნებს ადასტურებს. ისლამი მშვიდობის, შერიგების, ერთობლიობისა და ერთმანეთისათვის დახმარების ხელის გაწვდენის რელიგიაა.

არაზეციური რელიგიები არაა გამოგზავნილი ღმერთისაგან. ის ადამიანებს შორის ჩამოყალიბებული რელიგიებია. მაგალითად: ბუდიზმი, ზოროასტრიზმი და სინტოიზმი. თანამედროვე ეპოქაში ბუდიზმი გავრცელებულია შემდეგ ქვეყნებში: ჩინეთში, ინდოეთში, ტაილანდში. ზოროასტრიზმი აზერბაიჯანში, შუა აზიაში, ირანში და ინდოეთში ფართოდ იყო გავრცელებული. სინტოიზმი ძირითადად იაპონელების რელიგიაა და დღემდე არის შემორჩენილი.



ზეციური რელიგიები	არაზეციური რელიგიები

1. მოცემული რელიგიები დააჯგუფეთ.
   ბუდიზმი, იუდაიზმი, ზოროასტრიზმი, სინტოიზმი, ისლამი, ქრისტიანობა

2. ყველაზე მეტად რომელი თვისება მოგწონთ ისლამის რელიგიაში? დაასაბუთეთ.

3. შეაგროვეთ და ჩაწერეთ რვეულში მოციქულ მუჰამმედის (ს.ა.ს) ცოდნასთან დაკავშირებული გამონათქვამები

4. შეაგროვეთ ინფორმაცია ზეციური და არაზეციური რელიგიების შესახებ.

4 მსგავსება და განსხვავება სარწმუნოების სისტემებში

სხვადასხვა რელიგიებს შორის არსებობენ ურთიერთმსგავსი და განსხვავებული თვისებები. ზეციურ რელიგიებს შორისაც არის მსგავსება და განსხვავება. შეგვიძლია ვიპოვოთ ეს მსგავსებები და განსხვავებები სურათების მიხედვით?

უზენაესი ღმერთის ერთადერთობის აღიარება ღმერთისაგან ხსნის მოვლინების თხოვნაა, უბედური შემთხვევების გარდაუვალობა და ბედისწერისადმი რწმენა ყველა ზეციური რელიგიისათვისაა დამახასიათებელი.

> *ორი რამ ვერასოდეს დაიბუდებს მუსულმანის გულში – სიძუნწე და ავკაცობა. სიძუნწე და რწმენა ვერასოდეს დაეტევა ერთ გულში.*
> **მოციქული მუჰამმედი (ს.ა.ს)**

უფალი მოგვიწოდებს კაცობრიობას, რომ ვიყოთ გულწრფელნი, ერთმანეთის პატივისმცემელნი, უფლისადმი რწმენით აღვსილნი, კეთილნი, ვაკეთოთ კარგი საქმეები, არ ვიცრუოთ, მშობლებისა და უფროსების მიმართ მუდამ გამოვავლინოთ პატივისცემა.

ისლამის რელიგია იუდაიზმისა და ქრისტიანობის შემდეგ შეიქმნა და უკანასკნელი რელიგიაა. ისლამის სავალდებულო წესებია: ღმერთის ერთადერთობის აღიარების გულითადობა და სიტყვებით დადასტურება (ქელიმეი შეჰადეთი), დღეში ხუთგზის ნამაზის ლოცვის აღვლენა, რამაზანის თვეში მარხულობა, მოწყალების გაღება, როგორიცაა ზექათი და ჰაჯის აღსრულება. ეს ყველაფერი ისლამის სავალდებულო რიტუალია.

ებრაელები ლოცვას დილით და საღამოთი ასრულებენ. შაბათობით არანაირ საქმეს არ აკეთებენ. მათთან მარხვა დიეტის ხასიათს ატარებს.

მუსლიმები რამაზანის თვეში მარხულობენ. მეგობრებთან ერთად იმსჯელეთ, თუ რომელი წესები უნდა დაიცვათ მარხვის დროს.

ქრისტიანობის მიხედვით ადამიანი დაბადებიდან ცოდვილია. ნათლობისას ხდება მისი განბანვა. ეკლესიაში ადამიანები მიდიან და აღსარებას აბარებენ მღვდელს, რომელიც მათ შეიწყალებს, რაც მათი ცოდვების მონანიებას ნიშნავს. ქრისტიანები კვირაში ერთხელ ლოცულობენ ეკლესიებში.

ჰეი, თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ, არასოდეს გაასწროთ ალაჰს და მის მოციქულს და გეშინოდეთ ალაჰის...

ყურანი, სურა "ჰუჯურათი"



1. რომელ რიგშია მოცემული არაზეციური რელიგიები?
ამ რელიგიათა განმასხვავებელი თვისებების შესახებ შეაგროვეთ ინფორმაცია.

ისლამი, ქრისტიანობა, იუდაიზმი
შამანიზმი, იუდაიზმი, ისლამი
ბუდიზმი, ქრისტიანობა, ზოროასტრიზმი
ბუდიზმი, სინტოიზმი, ზოროასტრიზმი

2. ქვემოთ მოცემულთაგან რომელია სწორი?
1) რელიგიები გავრცელებულია მხოლოდ ერთ ქვეყანაში.
2) იუდაიზმის მიხედვით ადამიანი დაბადებიდან ცოდვილია. ნათლობისას ხდება მისი განბანვა.
3) აზერბაიჯანში მხოლოდ მუსულმანები ცხოვრობენ.
4) უძველეს დროს აზერბაიჯანში გავრცელებული იყო შამანიზმი და ზოროასტრიზმი.
5) მუსულმანები და ებრაელები მარხულობენ.
ა) 1, 2, 4 ბ) 2, 3, 4 გ) 2, 4, 5 დ) 4, 5

3. ქვემოთ მოცემულთაგან რომელი ეკუთვნის ისლამურ რელიგიას?

1. დღეში ხუთგზის ნამაზის ლოცვის აღვლენა.
2. ლოცვა ეკლესიაში
3. ჰაჯის აღსრულება.
4. რამაზანის თვეში მარხულობა
5. ცოდვებისაგან განსაწმენდად მღდელთან მისვლა.
ა) 2, 3, 5 ბ) 1, 3, 4 გ) 1, 3, 5 დ) 1, 2, 3 ე) 3, 4, 5

სარჩევი

საზოგადოება – ეს ჩვენ ვართ

თემა 1. ყველაფერი ურთიერთობით იწყება ----------6
თემა 2. ოჯახი არის მცირერიცხოვანი საზოგადოება ----------8
თემა 3. მეც ამ ჯგუფში ვარ ----------11
თემა 4. ერები ----------14
თემა 5. სახელმწიფო და სახელმწიფოებრიობა ----------16
თემა 6. ჩემი სახელმწიფო მე მემსახურება ----------19
თემა 7. ჩვენი უფლებები დაცულია ----------21
თემა 8. ჩვენი მოთხოვნილებები ----------24

გარემო და ჯანმრთელობა

თემა 1. ჯანმრთელი ცხოვრების წესი ----------28
თემა 2. უსაფრთხო კომპიუტერი ----------31
თემა 3. ჩვენს ჯანმრთელობას საფრთხე ემუქრება ----------33
თემა 4. რისთვისაა განკუთვნილი საგზაო ნიშნები ----------36
თემა 5. საგზაო წესები უნდა დავიცვათ ----------40

ვისეირნოთ ბუნებაში და გავიცნოთ იგი

თემა 1. ბუნებაში არსებული საგნები და ნივთიერებანი ----------44
თემა 2. გარემო ფაქტორები და ბუნებრივი მოვლენები----------47
თემა 3. ბუნება განრისხებულია ----------51
თემა 4. მზის სისტემაში მომხდარი მოვლენების საიდუმლო----------54
თემა 5. ეკოლოგიური გარემოს ზეგავლენა სულიერ არსებაზე ----------57
თემა 6. ადამიანი და ბუნება ----------59
თემა 7. ბუნების გამოძახილი ----------62
თემა 8. ჩვენი მოვალეობა ბუნების წინაშე ----------65

ჩვენი რელიგია და ჩვენი ზნეობა

თემა 1. ადამიანის სილამაზე მის ზნეობასა და საქციელშია ———68
თემა 2. რელიგიური შემწყნარებლობა ———————————71
თემა 3. ზეციური და არაზეციური რელიგიები ——————————73
თემა 4. მსგავსება და განსხვავება ——————————————75

Həyat bilgisi 5

Ümumtəhsil məktəblərinin 5-ci sinfi üçün
Həyat bilgisi fənni üzrə

DƏRSLİK

(Gürcü dilində)

Müəlliflər:

Məmmədova Nüşabə Əsəd qızı
Mahmudova Könül Faiq qızı
Bağmanlı Aynur Zahid qızı

Koordinator:
Roland Jalagania

Tərcümə edən:
Zərifə Hacıyeva

ŞƏRQ-QƏRB

www.eastwest.az
www.fb.com/eastwest.az
info@eastwest.az

Buraxılışa məsul: Sevil İsmayılova
Dizaynerlər: Kərim Məhdəvi
Elşən Qurbanov
Səhifələyici və
texniki redaktor: Mixail Çodrişvili
Baş redaktor: Gültəkin Cəfərova
Texniki direktor: Xəqani Fərzalıyev
Nəşriyyat direktoru: Kəmalə Qarayeva

Format: 70x100 1/16. Ofset çapı. Fiziki çap vərəqi 5
Sifariş 16004. Tiraj 200

ŞƏRQ-QƏRB

"Şərq-Qərb" ASC-nin mətbəəsində çap olunmuşdur.
AZ1123, Bakı, Aşıq Ələsgər küçəsi, 17.
Tel.: (+99412) 374 83 43
(+99412) 374 73 84

Pulsuz